# სვოტ-ანალიზის სახელმძღვანელო

## ინსტრუქციები მუნიციპალური ტყის მართვისთვის

საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების მხარდაჭერა - ECO.Georgia

ანგარიში

მომზადებულია საკონსულტაციო კომპანია PMO Consulting-ის მიერ

19 ნოემბერი, 2024

**მომზადებულია**

სახელმძღვანელოს ანგარიშის სტრუქტურა მომზადებულია “PMO Consulting“-ის მიერ, **Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH-ი**ს მხარდაჭერით, პროექტის „საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების მხარდაჭერა – ECO.Georgia“ ფარგლებში


**მისამართი**

**PMO Consulting**

33-ე ი. ჭავჭავაძის გამზირი
0179 თბილისი,
საქართველო


ნოემბერი, 2024


**ავტორები:** ლია გოდერძიშვილი

ნინო ბაღაშვილი


**შენიშვნა**

პუბლიკაცია მომზადდა PMO Consulting-ის მიერ, ECO.Georgia პროექტის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) GmbH გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) სახელით.

ამ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და შეხედულებები ეკუთვნის ავტორებს და არ ასახავს GIZ-ის და/ან BMZ-ის ოფიციალურ მოსაზრებას.

## მოკლე შეჯამება

დოკუმენტი მომზადებულია PMO Consulting-ის მიერ, GIZ-ის მხარდაჭერით და წარმოადგენს გზამკვლევს, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში მუნიციპალური ტყის მართვის (MFM) განხორციელების ხელშეწყობას SWOT-ანალიზის ჩარჩოს გამოყენებით. დოკუმენტი ასახავს SWOT-ანალიზის გამოყენების მნიშვნელობას მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის მართვასთან დაკავშირებული ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების შესაფასებლად. მისი მიზანია მხარი დაუჭიროს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას, რათა შეიქმნას მდგრადი და სამართლიანი ტყის მართვის პრაქტიკა, რომელიც შეესაბამება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო გარემოსდაცვით სტანდარტებს.

გზამკვლევი ხაზს უსვამს ინკლუზიურობის აუცილებლობას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ტყის მართვის სტრატეგიები ითვალისწინებდეს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით კი ქალების  პერსპექტივებსა და წვლილს. ინსტრუქციები წარმოადგენს სტრუქტურირებულ მიდგომას გენდერულად სენსიტიური SWOT-ანალიზის ჩასატარებლად. დოკუმენტი მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტების აღჭურვას ტყეების ეფექტური მართვის ინსტრუმენტებით, მდგრადობის, სოციალური სამართლიანობისა და ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის მიზნით.

## სარჩევი

მოკლე შეჯამება ..... 4

I. შესავალი..... 7

1.1. პროექტის მოკლე აღწერა..... 7

1.2. SWOT-ანალიზის ცნება და განმარტება ..... 7

1.3. ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელობა და SWOT-ანალიზის როლი ტყის მდგრადი და თანასწორი მართვის პრაქტიკის უზრუნველსაყოფად ..... 10

1.4. სახელმძღვანელოს მიზნები ..... 12

II. არსებული მდგომარეობის მიმოხილვა-ქართული ტყის კონტექსტი..... 13

2.1. პოლიტიკა, სამართლებრივი ჩარჩო და შესაძლებლობების განვითარება ..... 13

2.1.1 არსებული სატყეო პოლიტიკა და სამართლებრივი ჩარჩო ..... 13

2.1.2. შესაძლებლობების განვითარების საჭიროებები: პოლიტიკის არსებული ხარვეზები მენეჯმენტსა და აღსრულებაში ..... 17

2.2.3. ტრენინგის საჭიროება: არასაკმარისი სასწავლო პროგრამები ტყის მართვის პერსონალისთვის და საზოგადოებისათვის; არასაკმარისი გენდერულად მგრძნობიარე სასწავლო პროგრამები..... 18

2.2. გენდერი და საზოგადოების მონაწილეობა ..... 19

2.2.1. გენდერული როლები ტყის მენეჯმენტში..... 19

2.2.2. საზოგადოების მონაწილეობა და მმართველობა..... 21

2.2.3. უფრო ინკლუზიური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების შესაძლებლობების პოტენციალი გენდერის ახალ და არსებულ პოლიტიკაში ინტეგრირებისთვის ..... 23

2.3. ტრადიციული ცოდნა და საზოგადოების ჩართულობა ..... 24

2.3.1. ტრადიციული, ადგილობრივი ცოდნა ტყის მართვის შესახებ ..... 24

2.3.2. თემის გაძლიერება, პოტენციური ეკონომიკური სარგებელი და ტყის მენეჯმენტში ქალთა როლების გაძლიერების პროგრამები ..... 25

2.3.3. გარემოს დაცვა: ხელუხლებელი ტყეების შემდგომი დაკარგვის პრევენცია..... 27

2.4. რესურსების ხელმისაწვდომობა და შეზღუდვები..... 28

2.4.1. შეზღუდული რესურსები: რესურსების ხელმისაწვდომობა ეფექტური მუნიციპალური ტყის მართვისთვის..... 28

2.4.2. დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვის უნარი ..... 30

2.4.3. გარემოს დაცვა: კლიმატის გავლენა და სხვა ცვლილებები..... 30

2.5. გამოწვევები მუნიციპალური ტყის მართვაში- პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ბარიერები..... 31

2.5.1. ეკონომიკა: ეკონომიკური არასტაბილურობის შედეგები..... 31

2.5.2. პოლიტიკა: ხარვეზები მართვაში, პოლიტიკური ნება ..... 32

2.5.3 კულტურული ბარიერები: ტრადიციული გენდერული როლები, რომლებიც ზღუდავს ქალთა მონაწილეობას..... 32

III. მზადება SWOT ანალიზისთვის..... 33

3.1. მიზნების დასახვა: SWOT ანალიზის მიზნების განსაზღვრა, SWOT ჩარჩო და მისი გამოყენება მუნიციპალური ტყის მართვის პროცესში ..... 33

3.2. წინასწარი ანალიზის მომზადება: ძირითადი დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და მონაცემების მოგროვება ............ 38
3.3. საერთაშორისო სტანდარტები და კარგი პრაქტიკა ............ 42
IV. SWOT-ანალიზის კომპონენტების იდენტიფიცირების პროცესი მუნიციპალური ტყის მართვისთვის............ 45
4.1. ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება ............ 45
V. SWOT მატრიცა, SWOT-ანალიზის შედეგები და მათი ინტერპრეტაცია............ 50
2. შეჯამება............ 56
გამოყენებული ლიტერატურა ............ 57

## ცხრილთა ჩამონათვალი

ფიგურა 1: SWOT-ანალიზის პროცესის განხორციელების ზოგადი ნაბიჯები ............ 8
ფიგურა 2: სამიზნე მუნიციპალიტეტებში MFM-ისთვის SWOT-ანალიზის ზოგადი მიზნები და შინაარსი. SWOT მატრიცის ფორმა ............ 36
ფიგურა 3: სამიზნე მუნიციპალიტეტებში MFM-ისთვის SWOT-ანალიზის პოტენციური თემები (Suh & Emtage, 2005). ............ 37
ფიგურა 4. MFM-ისთვის დაინტერესებული მხარეების გავლენა-ინტერესის მატრიცა - პოტენციური განაწილება. ............ 39
ფიგურა 5. SWOT მატრიცის მაგალითი საქართველოში MFM-ისათვის. ............ 50

## აბრევიატურათა ჩამონათვალი

| | |
|---|---|
| თდლ | თუშეთის დაცული ლანდშაფტი |
| სსიპ | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| CCA | კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნები |
| CBD | ბიომრავალფეროვნების კონვენცია |
| CBFM | თემზე დაფუძნებული ტყის მართვა |
| FAO | სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია |
| FSC | ტყის სამეურვეო საბჭო |
| GIZ | გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება |
| WOCAN | ქალების ორგანიზება სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურსების მართვის ცვლილებისთვის |
| MFM | მუნიციპალური ტყის მართვა |
| RECOFTC | აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონული სათემო სატყეო სასწავლო ცენტრი |
| SFM | ტყის მდგრადი მართვა |
| SWOT | სვოტ-ანალიზი |
| UNFCCC | გაეროს ჩარჩო კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ |
| CEDOW | ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ კონვ. |

# I. შესავალი

## 1.1. პროექტის მოკლე აღწერა

ECO.Georgia-ს კომპონენტი 3 - საარსებო შესაძლებლობები და ადგილობრივი თვითმმართველობა ტყის მართვაში - ემსახურება ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოქალაქეების შესაძლებლობების განვითარებას მონაწილეობა მიიღონ ტყის მდგრად მართვაში. ამით, სამიზნე რეგიონების თემებს შეეძლებათ ისარგებლონ შემოსავლის დივერსიფიცირებული შესაძლებლობებით სატყეო მეურნეობის ღირებულების ჯაჭვების გაუმჯობესებით და სატყეო ცოდნისა და უნარების უკეთესი ხელმისაწვდომობით.

სწორედ კომპონენტი 3-ის ქვეშ, SWOT-ანალიზის ინსტრუქციების განვითარება ემსახურება ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას MFM-ში ჩართვის შესახებ. მუნიციპალური ხელისუფლება და მათი თანამშრომლები აღიჭურვებიან ცოდნით, რომელიც ხელს შეუწყობს არგუმენტირებული და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას, სტანდარტულ პროცედურებს ტყეების დაგეგმვისა და მართვისთვის, ასევე გაზრდილ შესაძლებლობებს საზოგადოების მონაწილეობისათვის. SWOT-ანალიზის ინსტრუქციები იქნება გადაწყვეტილების მიღების კიდევ ერთი ინსტრუმენტი მუნიციპალური დონის დაინტერესებული მხარეებისთვის, რათა განსაჯონ, არის თუ არა მათთვის გონივრული და მიმზიდველი მუნიციპალიტეტისათვის ტყის მართვის უფლებებისა და ვალდებულებების აღება.

SWOT-ანალიზის ინსტრუქციების სახელმძღვანელო მომზადებულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერილი პროექტის - “ინსტიტუციური მოწყობის პროცესის დიზაინის და „SWOT-ანალიზის“ ინსტრუქციების შემუშავება მუნიციპალური ტყის მართვის შესაძლებლობების განვითარებისთვის“ ფარგლებში. წარმოდგენილი დოკუმენტი ასახავს დეტალურ, გენდერულად მგრძნობიარე SWOT-ანალიზის ინსტრუქციებს და მისი ჩატარების მეთოდებს, საქართველოში ადგილობრივი/მუნიციპალური ტყის ეფექტურად მართვის პროცესის განვითარებისთვის. აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოს მიზანი არაა SWOT-ანალიზის ჩატარება.

## 1.2. SWOT-ანალიზის ცნება და განმარტება

სვოტ ანალიზი (SWOT) არის ფართოდ გამოყენებული სტრატეგიული დაგეგმვის ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს ან პროექტებს შეაფასონ თავიანთი მიმდინარე პოზიცია და სხვადასხვა სტრატეგიული ვარიანტები. შიდა შესაძლებლობების ან გარე საფრთხეების შესწავლის გარდა, SWOT ანალიზი ხელს უწყობს ალტერნატიული სცენარების სტრუქტურირებულ შედარებას ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად. მაგალითად, პოლიტიკის კონტექსტში, შეიძლება განვითარდეს განსხვავებული SWOT მატრიცები მოქმედების თითოეული პოტენციური კურსისთვის, რაც გადაწყვეტილების მიმღებ პირებს საშუალებას აძლევს სტრატეგიულად შეადარონ სხვადასხვა შედეგები და აირჩიონ ყველაზე ხელსაყრელი გზა. SWOT-ანალიზის

გაკეთების დროს განიხილება ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე ის შესაძლებლობები და მოსალოდნელი საფრთხეები, რომლებიც ორგანიზაციის ან პროექტის წინაშე დგას. SWOT-ანალიზი არის ჩარჩო იმ ძირითადი გამოწვევების ანალიზისა და იდენტიფიცირებისთვის, რომლებიც გავლენას ახდენენ პროექტზე ან ორგანიზაციაზე, მისი ძლიერი, სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების გათვალისწინებით. ამ ანალიზის მიზანია პროექტის შიდა და გარე გარემოს შესახებ ცოდნა გამოიყენოს და შესაბამისად ჩამოაყალიბოს პროექტის აღსრულების სტრატეგია (2030 Agenda for Sustainable Development, 2015). SWOT-ანალიზს შესაძლებელია ჯგუფის იდენტიფიცირების მეთოდიც ეწოდოს, რომელიც ხშირად გამოიყენება კონკრეტული პროგრამის, სერვისის, პროდუქტის ან ინდუსტრიის მონიტორინგის ან შეფასებისას და გაუმჯობესების ზომების შესწავლისას (Harrison, 2002).

SWOT-ი ინგლისურ აბრევიატურას წარმოადგენს, რომლის ყოველი ასო ანალიზის ცალკეულ ელემენტს აღნიშნავს: S — strengths (ძლიერი მხარე); W — weakness (სუსტი მხარე); O — opportunities (შესაძლებლობები); T — threats (საფრთხეები). SWOT-ანალიზის ჩატარება მოითხოვს პროექტის სუსტი და ძლიერი მხარეების, ასევე მისი გარემოს ყოვლისმომცველ ანალიზს:

- → **ძლიერი მხარეები** არის ის <u>შიდა</u> ფაქტორები, რაც აძლიერებს ორგანიზაციის ან პროექტის შესაძლებლობებს მიაღწიონ თავიანთ მიზნებს.. ეს შეიძლება მოიცავდეს რესურსებს, შესაძლებლობებს, რომლებიც უწყობს ხელს ორგანიზაციის/პროექტის მიზნების მიღწევას. განვითარების კონტექსტში, ეს გულისხმობს არსებული რესურსების, უნარების ან შესაძლებლობების შეფასებას, რომლებიც მხარს უჭერენ ინიციატივების მზადყოფნასა და ეფექტურ განხორციელებას. აქცენტი კეთდება იმ შიდა შესაძლებლობების იდენტიფიცირებაზე, რომლებიც აძლიერებს პროექტის წარმატებას და მდგრადობას.
- → **სუსტი მხარეები** არის ის <u>შიდა</u> ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალონ ორგანიზაციას/პროექტს მიზნების მიღწევაში. სისუსტეების იდენტიფიცირება გვეხმარება იმ სფეროების ამოცნობაში, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას ან კორექტირებას.
- → **შესაძლებლობები** არის <u>გარე</u> ფაქტორები, რომლებიც ორგანიზაციას/პროექტს შეუძლია გამოიყენოს თავის სასარგებლოდ. ეს შეიძლება მოიცავდეს ბაზრის ტენდენციებს, რეგულაციების ცვლილებებს ან განვითარებად ტექნოლოგიებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ზრდისა და გაუმჯობესებისთვის.
- → **საფრთხეები** არის <u>გარე</u> ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს რისკები ორგანიზაციისთვის/პროექტისთვის. ეს შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად, ეკონომიკური დაღმავლობის პერიოდს, კონკურენციის გაზრდას ან მომხმარებელთა ქცევის ცვლილებებს (GÜREL, 2017).

SWOT-ანალიზის ჩატარების პროცესი შეიძლება დაიყოს რამდენიმე ძირითად ეტაპად, რომელთაგან თითოეული აუცილებელია ყოვლისმომცველი შეფასებისთვის. SWOT-ანალიზის პროცესის განხორციელებისათვის შესაძლებელია გამოიყოს ოთხი ზოგადი ნაბიჯი (იხ. ფიგურა 1).

*ფიგურა 1: SWOT-ანალიზის პროცესის განხორციელების ზოგადი ნაბიჯები*




### 1. *მომზადება და მონაცემთა შეგროვება*

SWOT-ანალიზის დაწყებამდე მნიშვნელოვანია შესაბამისი მონაცემების შეგროვება. ეს შეიძლება მოიცავდეს ორგანიზაციულ ან პროექტულ ანგარიშებს, ბაზრის კვლევას, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებს, ინტერვიუებს და ინფორმაციის სხვა წყაროებს, რომლებიც გვაძლევენ აღქმას როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორებზე. შეგროვებული მონაცემების ხარისხი და სრულყოფილება ანალიზის სიზუსტესა და სარგებლიანობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

### 2. *ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების იდენტიფიცირება*

მონაცემების შეგროვების შემდეგ, შემდეგი ნაბიჯი არის ინფორმაციის იდენტიფიცირება და კატეგორიზაცია ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ჯგუფების მიხედვით. ეს ეტაპი მოიცავს კრიტიკულ აზროვნებას და ანალიზს იმის უზრუნველსაყოფად, რომ თითოეული ფაქტორი ზუსტად არის კლასიფიცირებული და შეესაბამება ორგანიზაციის ან პროექტის სტრატეგიულ მიზნებს.

### 3. *SWOT მატრიცის აგება*

ანალიზის წინა საფეხურზე იდენტიფიცირებული ფაქტორები შემდეგ ორგანიზდება SWOT მატრიცაში, რომელიც ვიზუალურ ინსტრუმენტს წარმოადგენს. SWOT მატრიცა ზემოთ მოყვანილი SWOT-ანალიზის ოთხი კატეგორიის მარტივი შედარებისა და კონტრასტის აღქმის საშუალებას იძლევა. მატრიცა ძლიერ მხარეებსა და შესაძლებლობებს შორის კავშირის იდენტიფიცირებისთვის გამოიყენება, რომელთა ბერკეტად გამოყენებაც შესაძლებელია. ასევე, მატრიცა გამოიყენება სუსტ მხარეებსა და საფრთხეებს შორის კორელაციის აღქმისთვისაც, რომელთა მოგვარებაც და გადაჭრაც საჭიროა.

### 4. *SWOT - ანალიზის შედეგები და ინტერპრეტაცია*

საბოლოო ეტაპი მოიცავს SWOT მატრიცის ანალიზს, რათა ჩამოყალიბდეს სტრატეგიული ინიციატივები, რომლებიც შესაბამისობაშია ორგანიზაციის, პროექტის ან ინიციატივის კონკრეტულ მიზნებთან. ეს პროცესი მოიცავს იმ სტრატეგიების განსაზღვრას, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს ძლიერ მხარეებსა და შესაძლებლობებს, ასევე ითვალისწინებს ან ამცირებს სისუსტეებსა და საფრთხეებს. ისეთი კონტექსტები, როგორიცაა მუნიციპალური ტყის მართვა (MFM), ამ ანალიზს საშუალებას აძლევს, შეადაროს სხვადასხვა სტრატეგიული

ალტერნატივებისთვის მომზადებული SWOT მატრიცები—მაგალითად, ტყის მართვა მუნიციპალიტეტების ან ეროვნული სატყეო სააგენტოს (NFA) მიერ—რათა შეფასდეს თითოეული მიდგომის მზაობა და შესაფერისობა. ამ შედეგების ინტერპრეტაცია და შესაბამისი სტრატეგიული მოქმედებების ჩამოყალიბება უზრუნველყოფს შერჩეული გზის შესაბამისობას ფართო განვითარების მიზნებთან და აძლიერებს პროექტის ეფექტურობასა და მდგრადობას.

SWOT ანალიზში გენდერული სენსიტიურობა გადამწყვეტია იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეფასება და შემდგომი სტრატეგიები იყოს ინკლუზიური და სამართლიანი. გენდერულად მგრძნობიარე ანალიზი ქმნის საფუძველს რომ ყველა გენდერის პერსპექტივა, საჭიროებები და როლები იქნას გათვალისწინებული, რაც სვოტ ანალიზს კიდევ უფრო ყოვლისმომცველს ხდის. გენდერულად სენსიტიურმა ანალიზმა შეიძლება გამოავლინოს კონკრეტული გამოწვევები და ბარიერები, რომელთა წინაშეც დგანან ქალები და მამაკაცები, მაგალითად როგორიცაა რესურსებზე ხელმისაწვდომობა, გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება და სხვა. ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების იდენტიფიცირებით, რომლებიც გავლენას ახდენენ სხვადასხვა გენდერზე, სტრატეგიები შეიძლება უფრო ეფექტურად მორგებული იყოს ამ განსხვავებების გადასაჭრელად, რაც მიგვიყვანს მდგრად შედეგებამდე, რადგან ისინი თანაბრად ითვალისწინებენ საზოგადოების ყველა წევრის საჭიროებებს. გენდერული სენსიტიურობა ემთხვევა გლობალურ სტანდარტებსა და ვალდებულებებს, როგორიცაა მდგრადი განვითარების მიზნები (SDG 5: გენდერული თანასწორობა), რაც უზრუნველყოფს პროექტების წვლილს უფრო ფართო საერთაშორისო მიზნების მიღწევაში. (2030 Agenda for Sustainable Development, 2015).

## 1.3. ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელობა და SWOT-ანალიზის როლი ტყის მდგრადი და თანასწორი მართვის პრაქტიკის უზრუნველსაყოფად

მუნიციპალური ტყეების მართვისთვის (MFM) ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რადგან ეს პირდაპირ გავლენას ახდენს ტყის მართვის პრაქტიკის მდგრადობასა და თანასწორობაზე. ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესი ფუნდამენტურია სხვადასხვა სექტორსა და დისციპლინაში. გადაწყვეტილებები, რომლებიც ეფუძნება ყოვლისმომცველ მონაცემებსა და ანალიზს, სავარაუდოა, რომ მოიტანს უფრო ეფექტურ და მდგრად შედეგებს, განსაკუთრებით ისეთ რთულ სისტემებში, როგორიცაა ტყის ეკოსისტემები. MFM-ის კონტექსტში, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება ხელს უწყობს ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური მიზნების დაბალანსებას, რაც უზრუნველყოფს ტყის რესურსების გამოყენებას ისე, რომ სარგებელს მოუტანს როგორც ახლანდელ საზოგადოებას, ისე მომავალ თაობებს.

SWOT-ანალიზი გადამწყვეტ როლს ასრულებს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, სტრუქტურირებული ჩარჩოს მიწოდებით, შიდა და გარე ფაქტორების შესაფასებლად, რომლებიც გავლენას ახდენენ ტყის მართვაზე. ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების იდენტიფიცირებით, SWOT-ანალიზი მუნიციპალიტეტებს საშუალებას აძლევს მიიღონ კარგად ინფორმირებული

გადაწყვეტილებები, რომლებიც ითვალისწინებენ როგორც პოტენციურ სარგებელს, ისე რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ტყის  მართვის სხვადასხვა სტრატეგიასთან. ამ კონტექსტში, თითოეული სტრატეგიული ვარიანტისთვის, როგორიცაა მუნიციპალიტეტის ან ეროვნული სატყეო სააგენტოს (NFA) მიერ ტყეების მართვა, დამოუკიდებელი SWOT მატრიცების შემუშავება ანალიზს აუმჯობესებს. ეს მიდგომა სხვადასხვა სცენარების პირდაპირი შედარების საშუალებას იძლევა, რაც იდენტიფიცირებადს ხდის თუ რომელი სტრატეგია უფრო შეესაბამება მდგრადი და სამართლიანი სატყეო მართვის მიზნებს. მაგალითად, მუნიციპალიტეტის მიერ ტყის  მართვის სცენარისთვის შექმნილმა SWOT მატრიცამ ძლიერ მხარეებად შესაძლოა გამოკვეთოს ადგილობრივი საზოგადოებების საჭიროებების უკეთესი ცოდნა, რამაც შესაძლოა მიიზიდოს მთავრობის დაფინანსება, რომელიც ადგილობრივი მდგრადობისკენაა მიმართული. ხოლო, ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ ტყის მართვის სცენარისთვის SWOT ანალიზმა შესაძლოა ასახოს არსებული ინფრასტრუქტურა და ტექნიკური ექსპერტიზა, მაგრამ ასევე გამოკვეთოს ადგილობრივი საზოგადოების ჩართულობის შეზღუდულობა, როგორც სისუსტე, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს კონფლიქტები მიწის გამოყენებისა და რესურსების განაწილების საკითხებზე. ამრიგად, ასეთი შედარების გამოყენება მუნიციპალიტეტებს საშუალებას აძლევს შეაფასონ თითოეული ვარიანტის უნიკალური სარგებელი და გამოწვევები, მხარი დაუჭირონ სტრატეგიულ არჩევანს, რომელიც დაფუძნებულია კონტექსტის სპეციფიკურ შეხედულებებზე და გრძელვადიან სიცოცხლისუნარიანობაზე.

უფრო მეტიც, SWOT-ანალიზის გამოყენება გადაწყვეტილების მიღებისას უზრუნველყოფს, რომ ტყის მართვის პრაქტიკა იყოს არა მხოლოდ მდგრადი, არამედ სამართლიანიც. ის სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების პერსპექტივების განხილვის საშუალებას იძლევა, მათ შორის მარგინალიზებული ჯგუფების პერსპექტივების. MFM-ის განხორციელებამ შეიძლება არაპროპორციულად იმოქმედოს მარგინალიზებულ ჯგუფებზე, რადგან ამ თემებს ხშირად აქვთ რესურსებზე წვდომის განსხვავებული ხარისხი და წარმომადგენლობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ანალიზში სოციალური განზომილებების ჩართვით, მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ შეიმუშაონ სტრატეგიები, რომლებიც ხელს უწყობენ ინკლუზიურობას, გენდერულ და სოციალურ თანასწორობას, რაც უზრუნველყოფს, რომ ყველა დაინტერესებულ მხარეს ჰქონდეს ხმა მათი ადგილობრივი ტყის რესურსების მართვაში. ამ გზით, SWOT-ანალიზი ხელს უწყობს ტყის მართვის პრაქტიკის გათანაბრებას მდგრადობისა და სოციალური სამართლიანობის უფრო ფართო მიზნებთან.

ეს ანალიტიკური ჩარჩო შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში, პროფესიულ ასოციაციებსა და აკადემიაში. მაგალითად, დილანმა (1988) ჩაატარა SWOT-ანალიზი ავსტრალიური სოფლის მეურნეობის ეკონომიკის პროფესიის შესაფასებლად (Dillan, 1988). ასევე, **გაერთიანებული ერების (გაეროს) სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (FAO) ოფიციალურად აღიარა SWOT-ანალიზის ტექნიკა, როგორც მნიშვნელოვანი მონაწილეობითი შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც საზოგადოების სატყეო მეურნეობის განვითარებისათვის ინფორმაციის შეგროვების, სინთეზისა და ანალიზისთვის გამოიყენება**

სხვა მაგალითებს შორისაა, აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონული სათემო სატყეო სასწავლო ცენტრის (RECOFTC) ანგარიში, რომელმაც ეს ტექნიკა აზიის განვითარებად ქვეყნებში თემის სატყეო მეურნეობის გაფართოების პოტენციური პროგრამების მიზანშეწონილობის

შესაფასებლად გამოიყენა (RECOFTC, 1999). ჯივანმა და კენდვანგმა (2004) SWOT-ანალიზის შედეგები გაანალიზეს, რომლებიც დაკავშირებულია სარავაკში, მალაიზიაში დაარსებულ აგრო ტყის სისტემებთან (Jiwan & Kendawang, 2004). ოსვალდიმ და სხვ. (2004) ჩაატარეს ყოვლისმომცველი SWOT-ანალიზი შვეიცარიაში სატყეო საწარმოების სტრატეგიული გეგმების დასადგენად (Oswald, Riechsteiner, Thees, & Lemm, 2004).

MFM-ის კონტექსტში, SWOT-ანალიზი ასევე განსაკუთრებით ღირებულია ინსტიტუციური მოწყობისა და მართვის პრაქტიკის შესაფასებლად. ინსტიტუციური მოწყობისთვის საუკეთესო და შესაფერისი სცენარების იდენტიფიცირებით, მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ რესურსების გამოყენების ოპტიმიზაცია, მუშაობის გაუმჯობესება, ეფექტური მმართველობის უზრუნველყოფა და გრძელვადიანი მდგრადობის ხელშეწყობა. SWOT-ანალიზის სტრუქტურირებული მიდგომა იძლევა ნათელ გზას დეტალური ინსტრუქციებისა და სასწავლო მასალების შემუშავებისთვის, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მუნიციპალური ხელისუფლების მიერ ტყის მართვის პრაქტიკის გასაუმჯობესებლად (Helms & Nixon, 2010). MFM-ის კონტექსტში, სხვადასხვა სცენარების შედარება თითოეული ინსტიტუციური მოწყობის ვარიანტისთვის დამოუკიდებელი SWOT მატრიცების საშუალებით, უზრუნველყოფს სისტემატურ მიდგომას, რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს და შეირჩეს ყველაზე შესაფერისი სტრატეგია. სხვადასხვა სცენარებისთვის, როგორიცაა მუნიციპალიტეტის ან NFA-ის მიერ ტყის მართვა, განსხვავებული SWOT მატრიცების განვითარება საშუალებას აძლევს მუნიციპალიტეტებს შეაფასონ თითოეული ვარიანტის კონკრეტული ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. ეს შედარებითი ანალიზი განმარტავს, თუ როგორ შეესაბამება თითოეული მოწყობა რესურსების გამოყენების, მართვის ეფექტურობისა და მდგრადობის მიზნებს.

SWOT-ანალიზის გამოყენება MFM-ში გვეხმარება არა მხოლოდ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში, არამედ მუნიციპალური ტყეების მართვის პრაქტიკის უფრო ფართო გარემოსდაცვით და სოციალურ მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანაში. ის უზრუნველყოფს, რომ სტრატეგიები ეფუძნებოდეს, როგორც მუნიციპალიტეტის შიდა შესაძლებლობების, ასევე მათ წინაშე არსებული გარე გამოწვევებისა და შესაძლებლობების რეალისტურ შეფასებას (Kangas & Pykäläinen, 2000).

## 1.4. სახელმძღვანელოს მიზნები

მუნიციპალური ტყის მართვისთვის (MFM) SWOT-ანალიზის წარმოდგენილი სახელმძღვანელო ემსახურება ყოვლისმომცველი ინსტრუქციების განვითარებას - ადგილობრივი/მუნიციპალური ტყის მენეჯმენტში გენდერულად მგრძნობიარე SWOT-ანალიზის ჩასატარებლად.

ორგანიზაცია Georgia's Environmental Outlook-GEO-ს მიერ მომზადებული ანგარიშზე „ტყის მართვის შესაძლებლობების ანალიზი 8 სამიზნე მუნიციპალიტეტის მიხედვით“ დაყრდნობით, რომელიც მომზადდა პროექტის „საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების მხარდაჭერა (ECO.Georgia) მიერ, მუნიციპალური ტყეების მართვა საქართველოში ძალიან ადრეულ ფაზაშია (ქავთარიშვილი, 2023). დღეს საქართველოში, მუნიციპალური მმართველობის მხრივ გვაქვს მხოლოდ ოთხი პრაქტიკული მაგალითი. ერთი

ახმეტის მუნიციპალიტეტში, რომელსაც უკვე დიდი გამოცდილება დაუგროვდა, მეორე გორის მუნიციპალიტეტში, რომელიც შედარებით ახალია, მესამე დუშეთის მუნიციპალიტეტში, სადაც მუნიციპალიტეტი ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან ერთად მართავს არაგვის დაცულ ლანდშაფტს. მეოთხე არის მაჭახელას დაცული ლანდშაფტი, სადაც ტყეებს ამჟამად მართავს აჭარის სატყეო სააგენტო, მაგრამ მართვა უნდა გადაეცეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს, როგორც ეს განსაზღვრულია მაჭახელას დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ კანონით.

**SWOT-ანალიზის ინსტრუქციების სახელმძღვანელო** მომზადებულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერილი პროექტის - “ინსტიტუციური მოწყობის პროცესის დიზაინის და „SWOT-ანალიზის“ ინსტრუქციების შემუშავება მუნიციპალური ტყის მართვის შესაძლებლობების განვითარებისთვის“ ფარგლებში. წარმოდგენილი დოკუმენტი ასახავს დეტალურ, გენდერულად მგრძნობიარე SWOT-ანალიზის ინსტრუქციებს და მისი ჩატარების მეთოდებს, საქართველოში ადგილობრივი/მუნიციპალური ტყის ეფექტურად მართვის პროცესის განვითარებისთვის. აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოს მიზანი არაა SWOT-ანალიზის ჩატარება.

# II. არსებული მდგომარეობის მიმოხილვა-ქართული ტყის კონტექსტი

## 2.1. პოლიტიკა, სამართლებრივი ჩარჩო და შესაძლებლობების განვითარება

### 2.1.1 არსებული სატყეო პოლიტიკა და სამართლებრივი ჩარჩო

საქართველოს ტყის კოდექსი[1] ითვალისწინებს მუნიციპალიტეტების მიერ ტყეების მართვას, თუმცა მუნიციპალიტეტების უმრავლესობას ტყის მართვისთვის ესაჭიროება გაძლიერება შემდეგ მიმართულებებში: სტრატეგიული მიდგომა, პრაქტიკული ინსტრუმენტები, ეკონომიკური და ტექნიკური დაგეგმვა, ცნობიერება, პროფესიული უნარები და შესაძლებლობები იმისათვის, რომ აქტიურად ჩაერთონ ტყის მდგრად მართვაში. დღეისათვის ტყის მართვის ოპერატიული მუნიციპალური პრაქტიკა მხოლოდ ახმეტის მუნიციპალიტეტში გვხვდება, დანარჩენი სამი მუნიციპალიტეტისთვის - დუშეთის, გორისა და ხელვაჩაურისთვის ადგილობრივი ტყის მართვის პრაქტიკა მომზადების პროცესშია. აღსანიშნავია, რომ დუშეთის შემთხვევაში მუნიციპალიტეტი მართავს დაცულ ლანდშაფტს, მაგრამ ამ ლანდშაფტში ტყე კვლავ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვაშია. დღესდღეობით

1 საქართველოს კანონი; საქართველოს ტყის კოდექსი; 22/05/2020;

მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ მუნიციპალურ ტერიტორიებზე ჰქონდეთ ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები , ტყის კოდექსის თანახმად კი, 2030 წლამდე უნდა შემუშავდეს და დამტკიცდეს „ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის" განსაზღვრის კრიტერიუმები და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემის წესი. მუნიციპალიტეტისათვის გადასაცემი ტყეები შესაძლოა მოიცავდეს იმ ტყეებსაც, რომლებსაც ამ ეტაპზე სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო მართავს (ქავთარიშვილი, 2023) და ასევე იმ ტერიტორიებს, რომლებიც ტყის შემქმნელი სახეობებითაა დაფარული და აკმაყოფილებს იმ პარამეტრებს რაც ტყის კოდექსით არის განსაზღვრული, თუმცა ამ დრომდე არ აქვს მინიჭებული ტყის სტატუსი.

საქართველოს ტყის კოდექსი ტყის მართვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს აწესრიგებს. აღნიშნულის მიხედვით, საქართველოს ტყე უნდა იმართებოდეს მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად ჩამოყალიბებული სისტემის საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს ტყის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, მისი ბიომრავალფეროვნების დაცვას, ტყის ეკოლოგიური ფასეულობის გათვალისწინებით მისი ეკონომიკური პოტენციალის რაციონალურ გამოყენებას, ტყის მართვაში საზოგადოების მონაწილეობას და მისთვის ტყის რესურსების ხელმისაწვდომობას. 2020 წლის ტყის კოდექსმა მუნიციპალიტეტებს გაუჩინა შესაძლებლობა გაითვალისწინონ ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებები და მისცენ მათ ტყიდან მეტი სარგებლის მიღების საშუალება.

აღსანიშნავია, რომ ტყის კოდექსი მოიცავს მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც, „საქართველოს მთავრობამ 2030 წლის 1 იანვრამდე უნდა შეიმუშაოს „ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის" განსაზღვრის კრიტერიუმები და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის მუნიციპალიტეტისთვის გადაცემის წესი"[2]. ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი[3] ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის რესურსებს აკუთვნებს მუნიციპალიტეტებს და მათ მართვას მოიაზრებს მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებად. საქართველოს ტყის კოდექსის მიხედვით, „მუნიციპალური ტყე არის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე, რომლის მიმართ მმართველობით უფლებამოსილებებს ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად ახორციელებენ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები.[4]

2 საქართველოს კანონი; საქართველოს ტყის კოდექსი; 22/05/2020; მუხლი 95;
3 საქართველოს ორგანული კანონი; ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი; 05/02/2014;
4 საქართველოს კანონი; საქართველოს ტყის კოდექსი; 22/05/2020; მუხლი 5;

**თუშეთის დაცული ლანდშაფტის (თდლ) მაგალითი**

როგორც ზემოთ აღინიშნა, ამჟამად საქართველოში მუნიციპალიტეტების მიერ ტყის მართვა ძირითადად რამდენიმე მუნიციპალიტეტში ხდება. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია ახმეტის მუნიციპალიტეტი, რომელიც ზედამხედველობს და მართავს თუშეთის დაცულ ლანდშაფტს (თდლ), შესაბამისი უწყებების მეშვეობით. თდლ, რომელიც შეიქმნა 2003 წელს საქართველოს კანონით „თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლადოგეხის და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის იურისდიქციაშია. 2011 წელს შეიქმნა ა(ა)იპ „თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია“ (თდლ). ადმინისტრაციის კომპეტენცია თდლ-ს მართვით შემოიფარგლება. თდლ 2006 წელს ახმეტის მუნიციპალიტეტს გადაეცა, ხოლო 2011 წელს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დააფუძნა ა(ა)იპი “თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია".

თდლ-ს მაგალითზე დაყრდნობით, აღსანიშნავია, რომ ა(ა)იპი "თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის” საქმიანობის მიზანს წარმოადგენს თდლ-ს უნიკალური ეკოსისტემის დაცვა განადგურებისაგან, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტის შენარჩუნება და მოვლა-პატრონობა. იგი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. მის კომპეტენციაში შედის თდლ-ს ტერიტორიაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის (მართვის ორგანოს) დავალებით ტყის აღრიცხვა, დაგეგმვა და მონიტორინგი, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში დაცულ ლანდშაფტში ნებადართული, საქართველოს კანონის ,,ტყის კოდექსი“ 79-ე, 80-ე,81-ე მუხლით გათვალისწინებული ჭრის წარმოება.

კანონმდებლობის მიხედვით, ადგილობრივ მოსახლეობას აქვს მერქნული რესურსებით სარგებლობის უფლება დაცული ლანდშაფტის ტყეებში. თდლ-ს გამოცდილებაში იკითხება, რომ ხე-ტყის არაკანონიერი ჭრის შემთხვევები მნიშვნელოვნად შემცირდა კანონის აღსრულების გაძლიერებისა და ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციის გაუმჯობესების შედეგად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას არ შეუძლია აქტიური რეაგირება მოახდინოს იმ საკითხებზე, რაც დაცულ ლანდშაფტს ეხება, რადგან მისი კომპეტენცია დაცულ ლანდშაფტთან მიმართებაში მონიტორინგით და მუნიციპალიტეტისთვის ინფორმაციის მიწოდებით შემოიფარგლება. ასევე, თუშეთის დაცული ტერიტორიების სივრცულ დაგეგმვაში შეტანილი ცვლილებები ტყის გარკვეული უბნების სტატუსის შეცვლასაც მოიცავდა. ამან მრავალ ადგილას დააკმაყოფილა ადგილობრივი მოსახლეობის სასიცოცხლო მოთხოვნილებები შეშაზე და მოაგვარა კონფლიქტი ტყის რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებით. თუმცა, გარკვეული გამოწვევები მაინც რჩება თდლ-ს წინაშე, მათ შორის ფინანსური თუ ტექნიკური რესურსების ნაკლებობა.

ტყის მართვა გულისხმობს ტყის სასარგებლო თვისებების, ეკოლოგიური ფუნქციების შენარჩუნებასა და მის განვითარებას, ტყის რესურსების გამოყენების, ტყის დაცვის, მოვლისა და აღდგენა-გაშენების ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას. ტყის მართვის პროცესში გამოყენებული უნდა იქნას ისეთი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფს მისი ბიომრავალფეროვნების, პროდუქტიულობის, თვითაღდგენისა და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.

„საქართველოს ტყის კოდექსი აწესრიგებს ტყის მართვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს. კოდექსის თანახმად, საქართველოს ტყე, მიუხედავად მისი საკუთრების ფორმისა, უნდა იმართებოდეს მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად შექმნილი სისტემის

საფუძველზე. აღნიშნული უზრუნველყოფს ტყის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, მისი ბიომრავალფეროვნების დაცვას, ეკონომიკური პოტენციალის რაციონალურ გამოყენებას ტყის ეკოლოგიური ღირებულების, ტყის მართვაში საზოგადოების მონაწილეობისა და ტყის რესურსების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით.“ (ქავთარიშვილი, 2023).

ასევე მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალური ტყის მართვის მაგალითები უკვე არსებობს საქართველოში. თუმცა პრაქტიკები ოდნავ განსხვავდება ერთმანეთისგან. ეს გამოცდილება კარგი მაგალითია სხვა მუნიციპალიტეტებისთვის, როგორც ერთგვარი საპილოტე პროექტი და პრაქტიკა, რომელიც კარგი სასტარტო წერტილი შეიძლება აღმოჩნდეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ტყის საინფორმაციო და საანგარიშო სისტემებმა ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. FAO-ს ანგარიშზე დაყრდნობით 1993 წლის MCPFE ჰელსინკის კონფერენციიდან გასული ათწლეულის განმავლობაში, მუშაობა მიმდინარეობდა მდგრადი ტყეების მნიშვნელობისა და მართვის პრაქტიკის დახვეწაზე. მოგვიანებით ეს პროცესი შესაბამისი კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავებასაც მოიცავდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, შესაბამის პროცესებში მონაწილეობა მიიღო კავკასიისა და ცენტრალური აზიის (CCA) უმეტესმა ქვეყანამ. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის, რომელიც ჩართულია ევროპის ტყის პროცესში. ევროპაში, Forest Europe Process-ის (მინისტრთა კონფერენცია ევროპაში ტყეების დაცვის შესახებ) ფარგლებში, შემუშავდა ინდიკატორების ნაკრები 34 რაოდენობრივი და 11 ხარისხობრივი ინდიკატორით, რაც საფუძვლად უდევს Forest Europe ანგარიშებს და შესაბამისად ეროვნული ინდიკატორები დადგენილია ევროპის 23 ქვეყნისთვის (FAO, 2023).

ტყის მართვისთვის საჭირო პროცესებსა და რესურსებს საქართველოს ტყის კოდექსი განმარტავს. საქართველოში ამ ეტაპზე სახელმწიფო ტყის მართვის ორგანოა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ეროვნული სატყეო სააგენტო. მუნიციპალური ტყის მუნიციპალიტეტისთვის გადაბარების შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო ქმნის ტყის მართვის ორგანოს და ამტკიცებს მუნიციპალური ტყის მართვის გეგმას. დღეს საქართველოს ტყის მართვის პროცესში ჩართულია რამდენიმე ძირითადი საჯარო უწყება. კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოს ტყე შეიძლება იყოს სახელმწიფო, მუნიციპალური ან კერძო საკუთრების:

- სახელმწიფო ტყის მართვის ორგანოა სამინისტროს **სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო,** რომლის ძირითადი მიზნებია: ტყის მოვლა და აღდგენა, ტყის ტერიტორიაზე ბიოლოგიური მრავალფეროვნების კომპონენტების მდგრადი გამოყენება. სააგენტოს ძირითადი ამოცანებია: ტყის მართვა, ტყის მოვლის და აღდგენის ღონისძიებების განხორციელება, ტყით სარგებლობის რეგულირება, ტყის ტერიტორიაზე კონტროლის (გარდა სალიცენზიო პირობებისა) განხორციელება კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში, ტყის აღრიცხვის განხორციელება.
- დაცული ტერიტორიის ფარგლებში არსებულ სახელმწიფო ტყეს მართავს **სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო.** საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ კანონის საფუძველზე სააგენტო უფლებამოსილია თავისი კომპეტენციის ფარგლებში: ა) მართოს სახელმწიფო ნაკრძალები, ეროვნული პარკები, ბუნების ძეგლები, დაცული ტერიტორიები, ბიოსფერული ნაკრძალები, მსოფლიო

მემკვიდრეობის ძეგლები და საერთაშორისო მნიშვნელობის ჭაობები; ბ) სხვა ორგანიზაციებთან ერთად მართოს დაცული ლანდშაფტები და გამონაკლის შემთხვევებში – პრევენციის ცალკე ზონა, ბიოსფერული რეზერვები, მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლები და ბუნების ძეგლები.
- ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ სახელმწიფო ტყეს მართავს **ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო.**
- მუნიციპალური ტყის მართვის ორგანოს ქმნის და მუნიციპალური ტყის მართვის გეგმას ამტკიცებს **მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო.**
- საქართველოს **გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო** აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებაა, რომელიც მისთვის მინდობილ სფეროში სახელმწიფო მმართველობისა და სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - **გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი** უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის (გარდა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ან წიაღით სარგებლობის ლიცენზიის პირობების შესრულების კონტროლისა) განხორციელებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

### 2.1.2. შესაძლებლობების განვითარების საჭიროებები: პოლიტიკის არსებული ხარვეზები მენეჯმენტსა და აღსრულებაში

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს აქვს ტყის მართვის მძლავრი საკანონმდებლო ბაზა, არსებობს შეუსაბამობები და ხარვეზები მუნიციპალურ დონეზე ამ პოლიტიკის გამოყენებისას. ეს ხარვეზები ხშირად იწვევს მართვის ფრაგმენტულ პრაქტიკას, სხვადასხვა სამთავრობო დონეებს შორის კოორდინაციის ნაკლებობას და რეგულაციების აღსრულების გამოწვევებს. ინფორმაციის, ტექნოლოგიების გადაცემის და კომუნიკაციის ნაკლებობა მმართველ ორგანოსა და საზოგადოების წევრებს შორის შეიძლება ასევე აღიქმებოდეს, როგორც სუსტი მხარე (Suh & Emtage, 2005).

- მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტყის კოდექსი ითვალისწინებს მუნიციპალური ტყის მართვის ძირითად ინსტრუქციებს, მუნიციპალურ დონეზე მისი განხორციელება ხშირად არათანმიმდევრულია. ეს შეუსაბამობა შეიძლება გამოწვეული იყოს მუნიციპალური ხელისუფლების როლებსა და პასუხიმგებლობებში სიცხადის ნაკლებობით, ასევე არასათანადო ზედამხედველობისა და აღსრულების მექანიზმებით.
- ხშირად ხდება ტყის მართვის ეროვნულ პოლიტიკასა და ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურებს შორის კავშირის დარღვევაც. ამ ხარვეზმა შეიძლება გამოიწვიოს მენეჯმენტის მიზნების შეუსაბამობა, მუნიციპალიტეტებს ზოგჯერ არ აქვთ უფლებამოსილება ან რესურსები ეროვნული პოლიტიკის ეფექტურად განსახორციელებლად.
- გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის ნაკლებობა: საქართველოში არსებული საკანონმდებლო ბაზა და საერთაშორისო ხელშეკრულებები სახელმწიფოს

ავალდებულებს შეიმუშავოს ისეთი პოლიტიკა და კანონმდებლობა, რომელიც იქნება არადისკრიმინაციული და უზრუნველყოფს ყველასთვის თანასწორ და ხელმისაწვდომ გარემოს. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი[5] ადგენს, რომ არავინ შეიძლება იყოს დისკრიმინირებული. ეს არის ავტონომიური უფლება, რომელიც შეიძლება ეხებოდეს სახელმწიფოს მიერ რეგულირებულ ნებისმიერ სფეროს. მიუხედავად იმისა, რომ გენდერული თანასწორობა აღიარებულია ეროვნულ სატყეო პოლიტიკაში, ამ პრინციპების გადატანა სამოქმედო გეგმებში მუნიციპალურ დონეზე ხშირად არ ხდება. ეს ხარვეზი აფერხებს ქალთა სრულ მონაწილეობას ტყის მართვაში და აძლიერებს გენდერულ უთანასწორობას ტყის რესურსებზე ხელმისაწვდომობისას.

### 2.2.3. ტრენინგის საჭიროება: არასაკმარისი სასწავლო პროგრამები ტყის მართვის პერსონალისთვის და საზოგადოებისათვის; არასაკმარისი გენდერულად მგრძნობიარე სასწავლო პროგრამები

საქართველოს MFM-ის მნიშვნელოვანი სუსტი მხარეა ტყის მართვის პერსონალის არასაკმარისი ტრენინგი. ეს მოიცავს როგორც ზოგად ტრენინგს ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკაში, ასევე გენდერულად მგრძნობიარე ტრენინგ პროგრამებს. სათანადო ტრენინგის გარეშე, მუნიციპალურ პერსონალს შეიძლება არ ჰქონდეს საჭირო უნარ-ჩვევები და ცოდნა ტყეების ეფექტური მართვისთვის, რაც გამოიწვევს არა ოპტიმალური მართვის შედეგებს და გააგრძელებს არსებულ უთანასწორობას. გენდერულად მგრძნობიარე სასწავლო პროგრამები სატყეო მეურნეობაში აუცილებელია ტყის მართვის ინკლუზიური, სამართლიანი და მდგრადი პრაქტიკის შესაქმნელად. პირველ რიგში, მსგავსი ტიპის ტრენინგი უზრუნველყოფს, რომ როგორც მამაკაცებს, ასევე ქალებს ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სატყეო საქმიანობაში, მათ შორის გადაწყვეტილების მიღებაში, მართვასა და სარგებლის გაზიარებაში. ასევე აღსანიშნავია, რომ სატყეო ტრენინგში ქალებისა და სხვა მარგინალიზებული ჯგუფების ჩართვა ტყის მენეჯმენტის სხვადასხვა პერსპექტივებსა და ეფექტურ სტრატეგიებს უზრუნველყოფს. (FAO, 2016).

მუნიციპალური ტყის მენეჯმენტის პერსონალისთვის მუდმივი ტრენინგისა და პროფესიული განვითარებისთვის შეზღუდული შესაძლებლობებია. ტრენინგის ეს ნაკლებობა ხელს უწყობს ცოდნისა და უნარების ხარვეზებს, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა მდგრადი მართვის პრაქტიკა, ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და საზოგადოების ჩართულობა თდლ-ს მაგალითზე, საძოვრების ნაწილის მათვის მიმართულებით, დღის წესრიგში რჩება შესაბამისი სპეციალისტების არსებობის აუცილებლობა. ამჟამად საძოვრების მონიტორინგი მთლიანად რეინჯერთა პასუხისმგებლობაა და მათ, მიუხედავად ჩატარებული ტრენინგებისა, არ აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია რომ სწორად და ეფექტურად განახორციელონ მონიტორინგის პროცესი. ასევე პრობლემური საკითხია კადრების გადინების მაღალი ტენდენცია. საძოვრების მონიტორინგის პროცესი უნიფიცირებული და გაწერილია შესაბამის სახელმძღვანელოში, მაგრამ მაინც საჭიროებს სათანადო კვალიფიკაციას, პრაქტიკასა და საველე შეფასების უნარებს. ასევე ნაკლებად მოსალოდნელია, რომ დაცული ტერიტორიების რესურსების სპეციალისტებმა სპეციალური მომზადების გარეშე შეძლონ „საძოვრების მართვის ინსტრუმენტის“ გამოყენება, რადგან ეს გეო-საინფორმაციო სისტემების უნარ-

[5] საქართველოს კონსტიტუცია

ჩვევებს მოითხოვს. შერჩეული პერსონალის შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, საჭიროა შესაბამისი სატრენინგო პროგრამების განხორციელება, რომლებმაც უნდა დაფარონ საძოვრების მართვისა და მდგომარეობის შეფასების, ასევე საძოვრების მართვის ინსტრუმენტის გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავების საკითხები.

ასევე თდლ-ს გამოცდილებიდან, მოსახლეობა მიესალმება თუშეთის განვითარების მხარდაჭერას, განსაკუთრებით ტურიზმთან დაკავშირებით, მაგრამ არსებობს იმის ნიშნები, რომ ზოგიერთი ტურისტული მომსახურების ხარისხი ბოლო დროს გაუარესდა. ტურისტული მომსახურების სტანდარტები და მათგან მიღებული სარგებელი მკვეთრად შეიძლება გაუმჯობესდეს მიზანმიმართული და მორგებული ღონისძიებების მეშვეობით, როგორებიცაა პერიოდული ტრენინგები, სასწავლო ტურები და გამოცდილების გაზიარება.

ასევე, სამიზნე მუნიციპალიტეტის თანამშრომლების აზრით, ტყეების გადაცემის შემთხვევაში აუცილებელი იქნება ტყის მართვის ორგანოს – არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის დაარსება. ტყის მართვის ორგანოს შტატების რაოდენობა დამოკიდებული იქნება ტყის ფართობზე, რომელიც მუნიციპალიტეტს გადაეცემა. მუნიციპალიტეტის თანამშრომლები აღნიშნავენ, რომ სჭირდებათ დამატებითი ინფორმაცია ტყის კოდექსის დებულებების შესახებ. ამ ეტაპზე მათ ეს ცოდნა არ აქვთ (ქართველიშვილი, 2023).

## 2.2. გენდერი და საზოგადოების მონაწილეობა

### 2.2.1. გენდერული როლები ტყის მენეჯმენტში

საქართველოში არსებული საკანონმდებლო ბაზა და საერთაშორისო ხელშეკრულებები სახელმწიფოს ავალდებულებს შეიმუშავოს ისეთი პოლიტიკა და კანონმდებლობა, რომელიც იქნება არადისკრიმინაციული და უზრუნველყოფს ყველასთვის თანასწორ და ხელმისაწვდომ გარემოს. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი[6] ადგენს, რომ არავინ შეიძლება იყოს დისკრიმინირებული. ეს არის ავტონომიური უფლება, რომელიც შეიძლება ეხებოდეს სახელმწიფოს მიერ რეგულირებულ ნებისმიერ სფეროს.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის[7] (CEDAW-ს) მე-14 მუხლი, რომელიც შეეხება სოფლად მცხოვრები ქალების უფლებებს, ხაზს უსვამს ქალთა მნიშვნელოვან როლს რომელსაც ისინი ასრულებენ ოჯახების ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფაში, მათ შორის არასასაქონლო დარგებში. მიუხედავად იმისა, რომ  საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შიდა კანონმდებლობის საფუძველზე სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ქალთა უფლებების რეალიზაციისთვის ეფექტური პოლიტიკა და სახელმწიფო პროგრამები, გენდერულ უთანასწორობას კვლავ ვაწყდებით ისეთ სექტორებში, როგორიცაა სატყეო მეურნეობა, ენერგეტიკა, ტრანსპორტი, მშენებლობა და ინფრასტრუქტურა, სადაც, როგორც წესი, არ გროვდება გენდერული ნიშნით  ჩაშლილი მონაცემები. სამწუხაროდ, გენდერულად ბრმა პოლიტიკა სატყეო სექტორში კვლავაც

---

[6] საქართველოს კონსტიტუცია

[7] ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია

გრძელდება და ქალთა წვლილი დაუფასებელია, რაც აფერხებს ქალთა მონაწილეობას სატყეო პოლიტიკის დაგეგმვასა და კლიმატის ცვლილების მართვაში.[8]

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის (2023) მიხედვით, საქართველო 146 ქვეყანას შორის 76-ე ადგილზეა 0,708 ქულით. 2022 წლის მონაცემებით, ქალები შეადგენენ საქართველოს 3,7 მილიონიანი მოსახლეობის 52 პროცენტს, და წარმოადგენენ უმრავლესობას.[9] გარდა ამისა, საქართველოში არ ხდება სქესის მიხედვით ისეთი მონაცემების აღწერა, როგორიცაა სატყეო სექტორში ქალთა დასაქმების, სატყეო საწარმოების შემოსავლებისა და საკუთრების შესახებ ინფორმაცია. მხოლოდ ხელმისაწვდომი ზოგადი ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ ტყის მართვაში გენდერული მეინსტრიმინგის შესახებ.

წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქალები ნაკლებად არიან დასაქმებულნი მენეჯერულ პოზიციებზე გარემოსდაცვით და სატყეო სექტორში.

საინტერესო შედეგები აქვს გენდერული მეინსტრიმინგის კვლევას[10] ახმეტის მუნიციპალიტეტის მაგალითზე, რომლის მიხედვითაც **გენდერული თვალსაზრისით კვლევის ძირითადი მიგნებებია:**

- პანკისის სოფლებში მცხოვრები ქალები აღიქვამენ, რომ მოსახლეობა ტყეზეა დამოკიდებული, მაგრამ ამას ყოველდღიურ ცხოვრებაში ვერ აცნობიერებენ. ისინი ტყეს უპირველესად სარგებლობის თვალსაზრისით უყურებენ.
- მუნიციპალიტეტში მცხოვრები კაცები და ქალები მონაწილეობენ ტყიდან ხე-ტყის და არამერქნული რესურსების შეგროვებაში. მამაკაცები ძირითადად ეწევიან ხე-ტყის შეგროვებას სამშენებლო და საწვავი დანიშნულებით.
- ქალები უფრო აქტიურად არიან ჩართულნი არამერქნული ტყის რესურსების შეგროვებაში. კერძოდ, ქალები აგროვებენ სოკოს, ვარდის, ჟოლოს, მაყვლის, მოცვის, კენკრის, სხვადასხვა ბალახისა და ხის ფოთლებს სამკურნალო მიზნებისთვის.
- პანკისის საოჯახო სასტუმროების მენეჯერები უმეტესად ქალები არიან, ისინი სტუმრებს ძირითადად ტყის პროდუქტებით უმასპინძლდებიან.
- ქალები არიან ასევე ჩართული ტყის პროდუქტების ყიდვა-გაყიდვაში.
- ქალები მეწარმეობის დაწყებისას რამდენიმე გამოწვევის წინაშე დგანან: მათ არ აქვთ საწყისი დაფინანსება და დაბალია ფინანსური ცოდნა. ბიზნესის დაწყების ან საგრანტო პროგრამებში მონაწილეობის წინაპირობა ხშირად მოიცავს მიწის საკუთრებას, რაც რთულია, რადგან ქალები იშვიათად ფლობენ მიწას.[11]

ახმეტის მუნიციპალიტეტის მაგალითზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქალების როლი საკმაოდ მნიშვნელოვანია ტყის რესურსების გამოყენებაში, თუმცა, ისინი ნაკლებად არიან ჩართულები გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც ნაკლებად ეფექტურს ქმნის ტყის მენეჯმენტს ადგილობრივ დონეზე.

კიდევ ერთი თემა, რომელიც გენდერულ თანასწორობას ეხება, არის ტყის რესურსების არათანაბარი ხელმისაწვდომობა, გენდერული მიკერძოება როლებსა და პასუხისმგებლობებში. გენდერული უთანასწორობა შეიძლება განსხვავებულად გამოიკვეთოს

[8] კვლევა გენდერული მეინსტრიმინგი ტყის მართვაში. DEPA Consulting for GIZ, 2024
[9] იქვე
[10] კვლევა გენდერული მეინსტრიმინგი ტყის მართვაში. DEPA Consulting for GIZ, 2024
[11] იქვე

ტყის რესურსებისა და როლების კონტექსტში. ტყის რესურსებზე არათანაბარი ხელმისაწვდომობა მრავალმხრივი საკითხია, რომელზეც გავლენას ახდენს სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები. ეკონომიკური ბარიერის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რომლელსაც ქალები არაპროპორციულად განიცდიან. შესაბამისად, შეზღუდულია მათი შესაძლებლობა ინვესტირება განახორციელონ ტექნოლოგიაში, ხელსაწყოებში ან პრაქტიკაში, რომელსაც შეუძლია გააუმჯობესოს ტყის რესურსების ხელმისაწვდომობა და მართვა. ასევე აღსანიშნავია, რომ ქალებს ხშირად აქვთ შეზღუდული წვდომა სატყეო სექტორში დასაქმების ფორმალურ შესაძლებლობებზე, როგორიცაა ხე-ტყის ჭრა ან ეკოტურიზმი, რაც ნიშნავს, რომ მათ არ შეუძლიათ მიიღონ ეკონომიკური სარგებელი, რასაც ეს ინდუსტრიები გვთავაზობენ.

ტყის რესურსებზე ხელმისაწვდომობის სამართლებრივი და პოლიტიკური ბარიერები გულისხმობს, რომ ბევრ კულტურასა და სამართლებრივ სისტემაში ქალებს საკუთრების უფლება არ აქვთ ან შეზღუდული აქვთ. ქალებს შეიძლება შეექმნათ ბარიერები ტყის მართვასთან დაკავშირებული სერვისების მიღებასა და მხარდაჭერაში, როგორიცაა სასწავლო პროგრამები, ფინანსური რესურსები და ტექნიკური დახმარება. პოლიტიკური თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში ტყის მართვის პოლიტიკა და რეგულაციები არ ითვალისწინებს გენდერულ განსხვავებებს და შესაძლოა არ აკმაყოფილებდეს ქალთა სპეციფიკურ საჭიროებებსა და გამოწვევებს.

### 2.2.2. საზოგადოების მონაწილეობა და მმართველობა

საზოგადოების მონაწილეობა MFM-ში გადამწყვეტი ძალაა, რადგან ის უზრუნველყოფს ტყის მართვის პრაქტიკის დაფუძნებას ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებსა და ღირებულებებზე. ბევრ მუნიციპალიტეტში ტყის მენეჯმენტის საქმიანობაში არის როგორც მამაკაცების, ასევე ქალების მნიშვნელოვანი ჩართულობა, რაც ზრდის ამ პრაქტიკის ეფექტურობასა და მდგრადობას:

- ინკლუზიურობა: როგორც მამაკაცების, ასევე ქალების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში უზრუნველყოფს, რომ ტყის მართვის სტრატეგიები ასახავს სხვადასხვა პერსპექტივებსა და საჭიროებებს, რაც გამოიწვევს უფრო დაბალანსებულ და თანაბარ შედეგებს. მაგალითად, ნეპალში სათემო სატყეო მეურნეობის გენდერულმა პროგრამებმა აჩვენა, რომ ქალების ჩართვა ტყის მართვის გადაწყვეტილებებში იწვევს უკეთესი კონსერვაციის შედეგებს და უფრო მეტ სოციალურ თანასწორობას (Agarwal, 2009).
- გაძლიერება: საზოგადოების მიერ მართული ტყის მენეჯმენტი ადგილობრივ მოსახლეობას აძლევს შესაძლებლობას აითვისონ ის რესურსები, რომლებზეც ისინი დამოკიდებულნი არიან, რაც ხელს უწყობს პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების გრძნობის გაძლიერებას.

საქართველოს მაგალითზე, ბევრ რეგიონში გვხვდება საზოგადოების ძლიერი დამოკიდებულება ტყის რესურსებზე. შესაბამისად, საზოგადოების ჩართულობა და ტრადიციული ცოდნის გამოყენება ტყის მართვაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკაში. მაგალითად, ახმეტის მუნიციპალიტეტში მერქნისა და ტყის

არამერქნული რესურსების, როგორიცაა კენკრისა და სამკურნალო მცენარეების შეგროვებაში მონაწილეობენ როგორც ქალები, ასევე მამაკაცები. ეს ჩართულობა არა მხოლოდ მხარს უჭერს მდგრად მენეჯმენტს, არამედ ხელს უწყობს ადგილობრივი კულტურული პრაქტიკის შენარჩუნებას (DEPA კონსალტინგი, 2024).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ამჟამად საქართველოში მუნიციპალიტეტების მიერ ტყის მართვა ძირითადად რამდენიმე მუნიციპალიტეტში ხდება. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია ახმეტის მუნიციპალიტეტი, რომელიც ზედამხედველობს თუშეთის დაცული ლანდშაფტის (თდლ) ტყის მართვას. თდლ, რომელიც შეიქმნა 2003 წელს საქართველოს კანონით „თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხის და ვაშლოვანის შექმნისა და მართვის შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის იურისდიქციაშია. 2011 წელს შეიქმნა ა(ა)იპ „თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია“. ადმინისტრაციის კომპეტენცია თდლ-ს მართვით შემოიფარგლება. თდლ 2006 წელს ახმეტის მუნიციპალიტეტს გადაეცა, ხოლო 2011 წელს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დააფუძნა ა(ა)იპი "თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია". **თდლ-ს გამოცდილებაში იკითხება, რომ ხე-ტყის არაკანონიერი ჭრის შემთხვევები მნიშვნელოვნად შემცირდა კანონის აღსრულების გაძლიერებისა და ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციის გაუმჯობესების შედეგად** (ქავთარიშვილი, 2023).

ორგანიზაცია GEO-ს მიერ მომზადებული ანგარიშზე „ტყის მართვის შესაძლებლობების ანალიზი 8 სამიზნე მუნიციპალიტეტის მიხედვით“ დაყრდნობით, რომელიც მომზადდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის „საქართველოში ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების მხარდაჭერა (ECO.Georgia)“, MFM-ის აღნიშნულ ძლიერ მხარეს იზიარებს სამიზნე მუნიციპალიტეტების უმეტესობა. სამიზნე მუნიციპალიტეტები აღნიშნავენ, რომ **MFM ნიშნავს ნაკლებ ბიუროკრატიას ადგილობრივი მოსახლეობის მერქნით უზრუნველყოფის საკითხში.** წინა პრაქტიკა, რომელიც გულისხმობდა დაზარალებული ადგილობრივებისთვის მუნიციპალური კომისიის დასკვნის საფუძველზე მასალის მიწოდებას, უკვე 5 წელია გაუქმდა. ამჟამად ეს პროცესი გართულებულია, რაც იწვევს მოსახლეობის უკმაყოფილებას. მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტს ექნება სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შეშით უკეთესად უზრუნველყოფის შესაძლებლობა, ზოგადად ტყის მერქნულ და არა მერქნულ რესურსებზე გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა (ქავთარიშვილი, 2023).

საზოგადოების მონაწილეობის ნაწილში, მნიშვნელოვანი ძლიერი მხარეა **ტყის მართვის მუნიციპალურ ორგანოში ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება**. მაგალითად, ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკის დანერგვამ შექმნა პირდაპირი დასაქმების შესაძლებლობები ისეთ საქმიანობაში, როგორიცაა ტყის პროდუქტების დარგვა, მოვლა, მოსავლის მიღება და გადამუშავება კოლუმბიაში. სათემო სატყეო პროექტებმა შექმნა სამუშაო ადგილები და მხარი დაუჭირა ადგილობრივ ეკონომიკას შემოსავლის მომტანი კომპანიებისა და ტყის პროდუქტების ბაზრის შესაძლებლობების შემუშავებით. მაგალითად, კოლუმბიაში პროექტის საწყის ფაზებში შეიქმნა 66 პირდაპირი სამუშაო ადგილი, რომლითაც უშუალოდ ისარგებლა 249 ოჯახმა (UN, 2019).

თდლ-ს მაგალითზე დაყრდნობით, 2023 წლის მდგომარეობით თუშეთის დაცული ლანდშაფტის მართვისათვის ადმინისტრაციას ჰყავს 19 თანამშრომელი. ასევე, ყველა სამიზნე

მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები ხაზს უსვამენ ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობების გაჩენის პოტენციალს, MFM-ის დანერგვის შემდგომ. 2003 წლიდან თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის სტრატეგია ადგილობრივ თემთან მჭიდრო და პოზიტიური კავშირების განვითარებისკენ იყო მიმართული. მიღწეული პროგრესის მაჩვენებელია ალტერნატიული სამუშაო ადგილების და საარსებო საშუალებების შექმნა, დაცული ტერიტორიის და მისი მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, ადგილობრივი კულტურის და ტრადიციების პოპულარიზაცია ფესტივალების, მედია საშუალებების, ბროშურების და სხვა პუბლიკაციების საშუალებით, კულტურული ძეგლების აღდგენის ხელშეწყობა. თდლ-ის ადმინისტრაცია თემთან მუშაობისას იყენებს შემდეგ საერთო პრინციპებს: პროექტების შემუშავების პროცესში თემის ჩართულობა და მისი ინტერესების გათვალისწინება, გამჭვირვალობა და თემის ინფორმირება, გენდერული ბალანსის დაცვა, ახალგაზრდების მონაწილეობის უზრუნველყოფა, ადგილობრივი პარტნიორი ორგანიზაციების აღქმა არა მხოლოდ მიზნობრივ ჯგუფებად, არამედ პარტნიორებად, ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინება. (ქავთარიშვილი, 2023).

### 2.2.3. უფრო ინკლუზიური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების შესაძლებლობების პოტენციალი გენდერის ახალ და არსებულ პოლიტიკაში ინტეგრირებისთვის

მუნიციპალური ტყის მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შესაძლებლობა არის უფრო ინკლუზიური პოლიტიკის შემუშავების პოტენციალი, განსაკუთრებით გენდერული საკითხების ინტეგრირებისთვის როგორც ახალ, ისე არსებულ პოლიტიკაში. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო აგრძელებს ტყის მართვის ჩარჩოების შემუშავებას, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ჩართვა პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში გადამწყვეტია. ეს მოიცავს არა მხოლოდ ადგილობრივ თემებს, არამედ უფრო მიზანმიმართულ ფოკუსირებას გენდერულად მგრძნობიარე მიდგომებზე, რაც უზრუნველყოფს მამაკაცებისა და ქალებისთვის ტყის მართვის პრაქტიკის თანაბრად ხელმისაწვდომობას.

ადგილობრივი თემების გაძლიერების მიზნით შემუშავებულ პროგრამებს შეუძლიათ მიაწოდონ მათ საჭირო უნარები, ცოდნა და უფლებამოსილება ტყის რესურსების მართვაში უფრო აქტიური როლის შესასრულებლად. ცოდნის გაძლიერებამ შეიძლება გამოიწვიოს ტყის მართვის უკეთესი შედეგები, რადგან ადგილობრივ თემებს ხშირად აქვთ უნიკალური პერსპექტივები და კავშირები მიწასთან, რომელსაც შეუძლია გააძლიეროს კონსერვაციის ძალისხმევა.

ტყის მენეჯმენტში ადგილობრივი თემების გაძლიერებამ ასევე შეიძლება ხელი შეუწყოს სოფლის ეკონომიკურ სტაბილურობას. საზოგადოების ჩართულობამ მდგრადი მოსავლის აღებაში, ტყის არამერქნული პროდუქტების შეგროვებასა და ტყეზე დაფუძნებულ სხვა აქტივობებში შეიძლება გააუმჯობესოს შინამეურნეობების შემოსავალი და ცხოვრების საერთო ხარისხი.

ადგილობრივ თემებს ხშირად აქვთ ღირებული ტრადიციული ცოდნა ტყის მართვის შესახებ, როგორიცაა ტყის რესურსების მოსავლის აღების და კონსერვაციის პრაქტიკა. ამ თემების გაძლიერებამ შეიძლება ხელი შეუწყოს ცოდნის შენარჩუნებას და გაძლიერებას, რაც

უზრუნველყოფს მის გადაცემას მომავალ თაობებზე და ინტეგრირებას ტყის მართვის თანამედროვე პრაქტიკაში (Agarwal, 2009).

## 2.3. ტრადიციული ცოდნა და საზოგადოების ჩართულობა

### 2.3.1. ტრადიციული, ადგილობრივი ცოდნა ტყის მართვის შესახებ

ადგილობრივი მოსახლეობის ტყის მართვის უნარების გაძლიერება, MFM-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თანმდევი პროცესი და ძლიერი მხარეა. ორგანიზაცია GEO-ს მიერ მომზადებული ანგარიშზე დაყრდნობით, „ტყის მართვის შესაძლებლობების ანალიზი 8 სამიზნე მუნიციპალიტეტის მიხედვით", ტყის მართვის დეცენტრალიზაცია გამოიწვევს ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერებას (მაგ. ტყის მართვის გამოცდილება მუნიციპალიტეტს გაუადვილებს წყლის რესურსების მართვასაც) (ქავთარიშვილი, 2023). მაგალითად, საქართველოს ტყის კოდექსი მოიცავს დებულებებს სატყეო მეურნეობის კვალიფიციური პერსონალის რაოდენობის გაზრდის შესახებ, რაც უზრუნველყოფს რომ მუნიციპალიტეტებმა ეტაპობრივად განავითარონ თავიანთი ტყეების ეფექტური მართვისათვის საჭირო ექსპერტიზა.

**ტრადიციული ცოდნის ინტეგრაცია** ტყის ეფექტური და მდგრადი მართვის კრიტიკული კომპონენტებია, განსაკუთრებით იმ კონტექსტში, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას ღრმა, ხანგრძლივი ურთიერთობა აქვს მიწასთან. საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, ადგილობრივი საზოგადოებები, მათ შორის ქალებიც და მამაკაცებიც, აქტიურად მონაწილეობენ ტყესთან დაკავშირებულ ღონისძიებებში. ეს ჩართულობა არ არის მხოლოდ ტყის რესურსებზე მათი დამოკიდებულების გამოხატულება საარსებო წყაროსთვის, არამედ მათი კულტურული და ისტორიული კავშირების გამოხატულება ამ ლანდშაფტთან.

მაგალითად, გენდერის ნაწილში, საინტერესო შედეგები აქვს გენდერული მეინსტრიმინგის კვლევას[12] ახმეტის მუნიციპალიტეტის მაგალითზე, რომლის მიხედვითაც **გენდერული თვალსაზრისით კვლევის მიგნებაა, რომ** მუნიციპალიტეტში ტყის რესურსების გამოყენებაში ქალები და კაცები განსხვავებულ როლებს ასრულებენ. კაცები ძირითადად ხე-ტყის მოპოვებაზე არიან ორიენტირებულნი სამშენებლო და საწვავი მიზნებისთვის, ხოლო ქალები უფრო აქტიურად აგროვებენ ტყის არამერქნულ რესურსებს, როგორიცაა სოკო, კენკრა, სამკურნალო მცენარეები და ფოთლები. პანკისის საოჯახო სასტუმროების მენეჯერებად ძირითადად ქალები მუშაობენ და სტუმრებს ხშირად ტყის პროდუქტებით უმასპინძლდებიან. ისინი ასევე აქტიურად მონაწილეობენ ტყის პროდუქტების გაყიდვაში. თუმცა, მეწარმეობის დაწყებისას ქალები სერიოზულ გამოწვევებს აწყდებიან, როგორიცაა საწყისი დაფინანსების ნაკლებობა, ფინანსური ცოდნის დეფიციტი და მიწის საკუთრების პრობლემა, რაც ხშირად ხელს უშლის მათ ბიზნესის ან საგრანტო პროგრამებში მონაწილეობას.[13]

ადგილობრივი საზოგადოების აქტიური მონაწილეობა ტყის მართვაში უზრუნველყოფს ადგილობრივი საჭიროებებისა და ღირებულებების ინტეგრირებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონებში, სადაც ტყეები

[12] გენდერული მეინსტრიმინგი ტყის მდგრადი მართვის გეგმებში. DEPA Consulting for GIZ, 2024

[13] იხილეთ თავი 2.2.გენდერი და საზოგადოების მონაწილეობა

გადამწყვეტ როლს თამაშობენ მაცხოვრებლების ყოველდღიურ ცხოვრებაში, უზრუნველყოფენ მასალებს საცხოვრებლად, საწვავს, საკვებს და სამკურნალო მცენარეებს. როდესაც თემები ჩართულნი არიან ტყის მართვაში, ისინი უფრო მეტად უჭერენ მხარს და იცავენ მდგრად პრაქტიკას, რადგან ხედავენ ამ აქტივობების პირდაპირ სარგებელს.

ტრადიციული ეკოლოგიური ცოდნა გულისხმობს სიბრძნეს, პრაქტიკას და რწმენას, რომელიც ძირძველი და ადგილობრივი თემები ავითარებდნენ საუკუნეების განმავლობაში, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მათ ურთიერთქმედებაში ბუნებრივ გარემოსთან. ტყის მართვის კონტექსტში, ეს მოიცავს პრაქტიკის ფართო სპექტრს, მდგრადი მოსავლის მეთოდებიდან კონკრეტული მცენარეების სამკურნალო მიზნებისთვის გამოყენებამდე. მაგალითად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ტყის მერქნული რესურსების გარდა ადგილობრივები მოიპოვებენ ტყის არა მერქნულ რესურსებს, როგორიცაა სამკურნალო მცენარეები, როგორიცაა ხარიშუბლა (პლატიფილინი Senecio platypyllus). ეს სამკურნალო მცენარე მოიპოვება რუსეთსა და უკრაინაში ექსპორტის მიზნით (ქავთარიშვილი, 2023).

საქართველოში ტრადიციული ცოდნა ღრმად არის ჩადებული ბევრ თემში, განსაკუთრებით სოფლად და ადგილობრივ რაიონებში, სადაც ტყეები თაობების ცხოვრების ცენტრალური ნაწილი იყო. მაგალითად, ისეთი პრაქტიკა, როგორიცაა შერჩევითი ჭრა, რომელიც ტყეებს ბუნებრივად აღდგენის საშუალებას აძლევს, ან არამერქნული ტყის პროდუქტების მდგრადი შეგროვება, როგორიცაა კენკრა და სამკურნალო მცენარეები, გადაეცემა თაობებს და განუყოფელია ტყის ეკოსისტემების ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. მაგალითად, თდლ-ს შემთხვევაში მოხდა ძველი ტომობრივ-თემობრივი მმართველობითი უნარ-ჩვევების გამოყენება და დანერგვა, რომელმაც თვითმმართველობასაც მისცა ბიძგი და ლანდშაფტის პოპულარიზაციასაც ხელი შეუწყო. თუშეთს აქვს თვითმმართველობაზე გადასვლის ისტორიული გამოცდილებები და სწორედ ნიშანდობლივია, რომ პირველი დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია, რომელსაც მუნიციპალიტეტი მართავს აქ შეიქმნა.

მაგალითად, საქართველოს მთიანეთში, მათ შორის თუშეთში, დღემდე შემონახულია ხატის ტყეების მოფრთხილების ტრადიცია. ხატის ტყე რელიგიური დატვირთვის „ნაკრძალს“ წარმოადგენს და, შესაბამისად, ტყის რესურსების დაცვისა და მდგრადი გამოყენების მაგალითია. ხატის ტყეები, თითქმის ხელუხლებლად შემონახული ტყის უბნებია, რომლებიც ხშირად კულტურული ღირშესანიშნაობითა და მდიდარი ბიომრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამგვარ მონაკვეთებზე დიდი ხნის განმავლობაში ან საერთოდ არ მომხდარა სერიოზული ანთროპოგენური ზემოქმედება. “ხატის ტყეების” ფენომენის არსებობა ერთგვარი წინაპირობა იყო თემთან მუშაობის პროცესში წარმატების მისაღწევად.

### 2.3.2. თემის გაძლიერება, პოტენციური ეკონომიკური სარგებელი და ტყის მენეჯმენტში ქალთა როლების გაძლიერების პროგრამები

გრძელვადიან პერსპექტივაში, მდგრადი მართვადი ტყეები ხელს უწყობს მდგრად ეკონომიკურ ზრდას ტყის რესურსების უწყვეტი მიწოდების უზრუნველსაყოფად. ეს

მდგრადობა იზიდავს ინვესტიციებს და ზრდის მუნიციპალიტეტების ეკონომიკურ მდგრადობას. ეკონომიკური სარგებელი მოიცავს სტაბილურ შემოსავალს ხე-ტყისგან, დასვენებისა და ტურიზმიდან (ტყის მართვა: დაგეგმვა, გადაწყვეტილების მიღება და განხორციელება, 2019).

უცხოური დაფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდამ ასევე შეიძლება ხელი შეუწყოს საქართველოს მუნიციპალიტეტებისთვის სატყეო მეურნეობის თანამედროვე ტექნოლოგიების გადაცემას. ეს ტექნოლოგიები შეიძლება გამოყენებულ იქნას ტყის მდგომარეობის უკეთ მონიტორინგისთვის, უკანონო ჭრის თავიდან ასაცილებლად და ტყის რესურსების მართვის გასაუმჯობესებლად.

ტყის მენეჯმენტში ადგილობრივი თემების გაძლიერებამ შეიძლება ხელი შეუწყოს სოფლის ეკონომიკურ სტაბილურობას. საზოგადოების ჩართულობა მდგრადი მოსავლის აღებაში, ტყის არამერქნული პროდუქტების შეგროვებასა და ტყეზე დაფუძნებულ სხვა აქტივობებში შეიძლება გააუმჯობესოს შინამეურნეობების შემოსავალი და ცხოვრების საერთო ხარისხი (Suh & Emtage, 2005).

სხვა დამატებითი შესაძლებლობები შეიძლება მოიცავდეს: მეტი უცხოური დაფინანსების ან საინვესტიციო მხარდაჭერის არსებობა; ხე-ტყის და არამერქნული რესურსების სტაბილური ბაზრის მოწყობა; კოლექტიური ხელშეკრულებები გადამამუშავებელ მრეწველობასთან; სატყეო კოოპერატივების ფორმირება; რესურსების დამატებული ღირებულების ზრდა (Suh & Emtage, 2005).

როდესაც საქმე ეხება ქალთა გაძლიერების პროგრამებს ტყის მენეჯმენტში, მნიშვნელოვანია, რომ ისინი მიმართონ იმ გამოწვევებს, რომლებიც დაკავშირებულია ქალთა მონაწილეობასთან ტყის რესურსების მართვაში, ლიდერობასა და გადაწყვეტილების მიღებაში. ამ პროგრამებმა მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს ქალებისთვის ტყის ეკოსისტემებში, რაც თავის მხრივ აღმოფხვრის გენდერულ უთანასწორობას, რომელიც განსაკუთრებით ამ სექტორშია გავრცელებული.

ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ტყის მენეჯმენტში ქალთა როლის გაძლიერების პროგრამებთან დაკავშირებული საერთაშორისო პრაქტიკა, რაც ცხადყოფს ამგვარი პროგრამების აქტუალურობას. უპირველეს ყოვლისა არის გაეროს REDD+ და გენდერული პროგრამა (გლობალური), რომელიც ფოკუსირებულია იმაზე, რომ ქალები ისარგებლონ REDD+ ინიციატივებით, რომლებიც მიმართულია ტყეების გაჩეხვისა და ტყის დეგრადაციის შედეგად გამონაბოლქვის შემცირებაზე. გენდერული თანასწორობის ხელშეწყობით, ეს პროგრამა აძლიერებს REDD+ პროექტების ეფექტურობას და უზრუნველყოფს, რომ ქალები არ დარჩნენ კლიმატის ცვლილების შერბილების მცდელობებში (UNDP გენდერული და REDD+ Policy Brief). ასევე, მნიშვნელოვანია გამოვყოთ საერთაშორისო ქსელი WOCAN, რომელიც ორიენტირებულია ქალთა გაძლიერებაზე სოფლის მეურნეობაში და ბუნებრივი რესურსების მართვაში, მათ შორის სატყეო მეურნეობაში. WOCAN ატარებს ტრენინგს და ადვოკატირებას ქალებისთვის და გავლენა მოახდინა გლობალურ პოლიტიკასა და პროგრამებზე, გააუმჯობესა ქალთა მონაწილეობა და ლიდერობა ტყის მართვაში.

### 2.3.3. გარემოს დაცვა: ხელუხლებელი ტყეების შემდგომი დაკარგვის პრევენცია

გარემოს დაცვა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა MFM-ის კონტექსტში საქართველოში. ხელუხლებელი ტყეების შემდგომი დეგრადაციისგან დაცვა და ნიადაგის პირობების გაუმჯობესება გადამწყვეტია ტყიანი ტერიტორიების ეკოლოგიური მთლიანობის შესანარჩუნებლად. ამ გარემოსდაცვით მიზნებზე ფოკუსირებით, მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ უზრუნველყონ, რომ მათი ტყის მართვის პრაქტიკა ხელს შეუწყობს გრძელვადიან მდგრადობასა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას.

ტყის კონსერვაცია, ხელუხლებელი ტყეების შემდგომი დაკარგვის პრევენცია, არის უპირველესი გარემოსდაცვითი შესაძლებლობა. ამის მიღწევა შესაძლებელია მკაცრი დაცვის ზომების განხორციელებით, მდგრადი მოსავლის აღების პრაქტიკით და საზოგადოების მიერ მართული კონსერვაციის ინიციატივებით. ტყის მართვის უკეთესი პრაქტიკის შედეგად, ნიადაგის გაუმჯობესებულმა პირობებმა შეიძლება გაზარდოს ტყის მიწების პროდუქტიულობა, ხელი შეუწყოს ტყის აღდგენის ძალისხმევას და შეამციროს ეროზია და მიწის დეგრადაციის სხვა ფორმები.

ტყეები უზრუნველყოფენ მნიშვნელოვან ეკოსისტემურ სერვისებს, როგორიცაა წყლის რეგულირება, ნიადაგის კონსერვაცია და ნახშირბადის სეკვესტრი. ეს სერვისები ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობას და ამცირებს გარემოს დეგრადაციის ხარჯებს, რაც გრძელვადიან ეკონომიკურ სარგებელს წარმოადგენს მუნიციპალიტეტებისთვის (ტყის მეთვალყურეობის საბჭო, 2023).

საქართველოში გარემოზე ზემოქმედების კონტექსტში, შეშის გასათბობად გამოყენების დადებითი ეფექტი შეინიშნება სხვადასხვა ტიპის ღუმელებში შეშის წვის დროს გამოთავისუფლებული მავნე გამონაბოლქვის შემცირებაში. GEO-ს მიერ მომზადებული ანგარიშის მიხედვით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ბოლო წლებში გაზიფიცირების პროცესმა შედარებით შეამცირა ტყეების გაჩეხვა შეშის შესაგროვებლად. ეს იმიტომ ხდება, რომ ზაფხულში მოსახლეობა გაზს კერძებისთვის და სხვა საჭიროებისთვის იყენებს. აქედან გამომდინარე, აქტიური გაზიფიკაციის პროცესი შეიძლება დადებითად იყოს წარმოდგენილი მისი გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით.

GEO-ს მიერ მომზადებული ანგარიშის მიხედვით, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები თვლიან, რომ ტყის მართვის დეცენტრალიზაცია სხვა სფეროებში ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერებას გამოიწვევს. მაგალითად, ტყის მართვის გამოცდილება მუნიციპალიტეტს გაუადვილებს წყლის რესურსების მართვას და ტყის მოვლა პრიორიტეტული იქნება, შესაბამისად, ეს შეიძლება იყოს არაპირდაპირი ზემოქმედება.

## 2.4. რესურსების ხელმისაწვდომობა და შეზღუდვები

### 2.4.1. შეზღუდული რესურსები: რესურსების ხელმისაწვდომობა ეფექტური მუნიციპალური ტყის მართვისთვის

მუნიციპალური ტყეების მართვისას აუცილებელია გარკვეული რესურსების ბაზა წარმოქმნილი მრავალფეროვანი გამოწვევების გადასაჭრელად. **ფიზიკურ-ტექნიკური რესურსები**, როგორიცაა სპეციალიზებული სატყეო აღჭურვილობა (მაგ., ტრაქტორები, სახერხი საამქროები) და ყველგანმავალი მანქანები, ფუნდამენტურია ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკის განსახორციელებლად. ეს მოიცავს ხე-ტყის მოპოვებას, ტყის სიჯანსაღის შენარჩუნებას. უფრო მეტიც, ინფრასტრუქტურა, როგორიცაა გზები და შესაბამისი შენობები, ხელს უწყობს ეფექტურ ოპერაციებს და წვდომას ტყის ზონებში. ტექნოლოგია ასევე თამაშობს გადამწყვეტ როლს; GPS სისტემები და სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფა გვეხმარება ტყის საქმიანობის ეფექტურად და ზუსტად დაგეგმვაში, შესრულებასა და მონიტორინგში.

თდლ-ს მაგალითის მიხედვით, ამჟამად თდლ-ის ადმინისტრაციას მერქნული რესურსების მოსაპოვებლად გააჩნია მხოლოდ ერთი სატყეო ტრაქტორი. შესაბამისად, არასაკმარისი ტექნიკისა და ადამიანური რესურსის სიმცირის გამო, დიდი რაოდენობის ხის მასალა რჩება ტყეში და ვერ ხერხდება მისი გამოტანა. ასევე, გამოწვევას წარმოადგენს ადგილზე მოპოვებული სამასალე მორის გადამუშავება, რაც ნაწილობრივ გადაიჭრა დონორული დაფინანსებით სახერხი დანადგარის შეძენის და მისი მომსახურების ფასიანი სერვისის დანერგვით. აღსანიშნავია, რომ ფინანსური რესურსები საჭიროა არა მხოლოდ აღჭურვილობისა და პერსონალისთვის, არამედ პერსონალის მუდმივი განათლებისა და ტრენინგისთვის, ასევე საზოგადოების ჩართულობისა და გარემოსდაცვითი რეგულაციების დაცვისთვის.

ტყის მართვაში გადამწყვეტ როლს ასრულებს **ადამიანური რესურსიც,** რადგან მენეჯმენტის გეგმების ეფექტიანად განსახორციელებლად აუცილებელია სპეციალიზებული ცოდნის მქონე პერსონალი, რომელიც აღჭურვილია ისეთი ტექნიკით, როგორიცაა მარტივი ხელის ხელსაწყოები, ისე დახვეწილი მექანიკური აღჭურვილობა. საქართველოს ტყის კოდექსი მოიცავს გარკვეულ საკანონმდებლო ვალდებულებებს ადამიანური რესურსების მიმართულებითაც. კოდექსის მიხედვით, ტყის მართვის ორგანომ უნდა უზრუნველყოს ტყის მართვაში მეტყევისა და სატყეო საქმის სპეციალისტის კვალიფიკაციის მქონე პირების სავალდებულო მონაწილეობა. ასევე, ტყის მართვის ორგანომ, საქართველოს ტყის მდგრადი მართვის პრინციპების განხორციელების მიზნით, 2025 წლის 1 იანვრამდე ყოველწლიურად უნდა უზრუნველყოს ტყის კოდექსის 83-ე მუხლით განსაზღვრულ პირთა რაოდენობის ზრდა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას ტყეში არაუმეტეს 3500 ჰა-ზე არანაკლებ 1 პირის მიერ უფლებამოსილების განხორციელება. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ფართობის სპეციფიკიდან გამომდინარე (მაგ. რამხელა არეალზეა განფენილი, მისადგომად რამდენად ადვილია, რა რაოდენობის მოსახლეობა ცხოვრობს მიმდებარე ტერიტორიაზე და სხვა), შესაძლებელია აღნიშნულ 3500 ჰა ფართობისთვის საჭირო გახდეს 1-ზე მეტი პირის გათვალისწინება.

ადამიანური რესურსების კუთხით თუ განვიხილავთ თდლ-ის ადმინისტრაციის მაგალითს, 2011 წელს ის 6 ადამიანს ასაქმებდა, დღეისათვის საშტატო ნუსხა 17 ადამიანს მოიცავს. ადამიანური რესურსების მიმართულებით, თდლ გარკვეული გამოწვევების წინაშეა:

- რეინჯერთა არასაკმარისი კორპუსი განიცდის პატრულირებისა და ტერიტორიის ეფექტური დაცვისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების, რესურსებისა და აღჭურვილობის ნაკლებობას. გარდა ამისა იკვეთება იურისტისა და გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების GIS სპეციალისტის ადგილზე მუშაობის აუცილებლობა. თდლ-ის ადმინისტრაციას სჭირდება კადრების სწავლების გეგმა, რომელსაც საფუძვლად დაედება მათი ხედვა, თუ რომელი და რამდენი სპეციალისტის დანაკლისს განიცდის ორგანიზაცია საქმიანობის უფრო მეტად ეფექტურად შესასრულებლად.
- საძოვრების მართვისა და მონიტორინგის პროცესში აუცილებელია კვალიფიციური სპეციალისტების არსებობა, რომელთაც ექნებათ შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები ეფექტურად განახორციელონ საძოვრების მართვა. გარდა ამისა, მათ პერიოდულად ადგილზე უნდა შეამოწმონ სიტუაცია და განახორციელონ მცენარეული საფარის მონიტორინგი.
- დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების მხრიდან საძოვრების მართვის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია სისტემაში (სასურველია ცენტრალური აპარატის დონეზე) ძოვების პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი სპეციალური სამსახურის შექმნა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება როგორც საძოვრების მართვაზე, ისე მონიტორინგზე.
- შერჩეული პერსონალის შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, საჭიროა შესაბამისი სატრენინგო პროგრამების განხორციელება, რომლებმაც უნდა დაფარონ საძოვრების მართვისა და მდგომარეობის შეფასების, ასევე საძოვრების მართვის ინსტრუმენტის გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავების საკითხები.

„მუნიციპალიტეტისთვის ტყის გადაცემის ძირითადი რისკი დაკავშირებულია იმასთანაც, რომ **ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტი საკუთარი ძალებით და არსებული ბიუჯეტით ვერ შეძლებს მუნიციპალური ტყეების მართვას.** ამიტომ, აუცილებელია მუნიციპალური ტყის გადაცემას მოხდეს საჭირო ტექნიკურ-მატერიალური და ფინანსური რესურსების უზრუნველყოფით. გარდა ამისა, ტყის მართვის კონტროლის პროცესში ადგილობრივ ხელისუფლებას დასჭირდება ცენტრალური ხელისუფლების ჩართულობა და მხარდაჭერა. მნიშვნელოვანია, რომ ცენტრალურ ხელისუფლებასა და მუნიციპალიტეტს შორის არსებობდეს კოორდინაცია ფუნქციების გამიჯვნისა და სხვა მიმართულებებით“ (ქავთარიშვილი, 2023).

ბევრ მუნიციპალიტეტს არ გააჩნია საჭირო საბიუჯეტო ასიგნებები ტყის მართვის საქმიანობებში ინვესტირებისთვის, როგორიცაა ტყეების აღდგენა, ტყის მონიტორინგი და ტყის დაცვის კანონების აღსრულება. ეს ფინანსური შეზღუდვა მნიშვნელოვანი ბარიერია. ადგილობრივი ხელისუფლება მოითხოვს არა მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების ჩართულობას ტყის მართვის კონტროლის პროცესში, არამედ ასევე ბიუჯეტის გამოყოფას არსებითი აქტივობების ეფექტურად განსახორციელებლად, როგორიცაა ტყის აღდგენა, მუდმივი მონიტორინგი და დაცვის კანონების აღსრულება. საკმარისი ფინანსური რესურსების გარეშე მუნიციპალიტეტები დადგებიან იმ რისკის წინაშე, რომ ვერ დანერგავენ ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დეგრადაცია და არაეფექტურობა (ქავთარიშვილი, 2023). როგორც გლობალური დეცენტრალიზაციის

მცდელობებში ჩანს, პასუხისმგებლობებსა და საბიუჯეტო დებულებებს შორის შეუსაბამობა ხშირად აფერხებს პოლიტიკის რეფორმების მოსალოდნელ შედეგებს (მსოფლიო ბანკი, 2021). ამრიგად, ცენტრალურ ხელისუფლებასა და მუნიციპალიტეტებს შორის უფრო მეტი კოორდინაცია აუცილებელია, რათა მუნიციპალიტეტები არ იყოს გადატვირთული დაუფინანსებელი მანდატებით.

### 2.4.2. დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვის უნარი

დამატებით მოზიდული ფინანსებისა და მიკროსაფინანსო პროგრამების გაჩენაც შეიძლება განვიხილოთ ერთ-ერთ ძლიერ მხარედ (Suh & Emtage, 2005). დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვის მაგალითები არსებობს თდლ-ს შემთხვევაში. თდლ-ს მაგალითზე, „კავკასიის ბუნების ფონდი“ (CNF), 2007 წელს გერმანიის კანონმდებლობით შექმნილი საქველმოქმედო ფონდი, რომელიც საქართველოში დაცულ ტერიტორიებს 2009 წლიდან ეხმარება, იწყებს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის - ა(ა)იპ „თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის გაძლიერებისა და საქმიანობის მხარდაჭერის პროექტს. საგრანტო პროგრამა ხორციელდება გერმანიისა და საქართველოს მთავრობებს შორის არსებული ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში, გერმანიის მთავრობის მიერ გამოყოფილი დაფინანსებით (BMZ) გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) შუამდგომლობით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ფონდი იღებს ვალდებულებას გამოყოს გრანტი თდლ-ის ადმინისტრაციის 2022 – 2024 წ მიმდინარე ხარჯებისა და საოპერაციო გეგმის თანადაფინანსების მიზნით 200 000 ევროს ოდენობით.

### 2.4.3. გარემოს დაცვა: კლიმატის გავლენა და სხვა ცვლილებები

კლიმატის ცვლილება მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის საქართველოს ტყის ეკოსისტემებს. ტემპერატურისა და ნალექიანობის ცვლილებებმა, ექსტრემალური ამინდის მოვლენების სიხშირემ შეიძლება გამოიწვიოს გარემოსდაცვითი საფრთხეები, მათ შორის მავნებლებისა და დაავადებებისადმი მგრძნობელობის გაზრდა, უფრო ხშირი და ინტენსიური ტყის ხანძრები და ტყის აღდგენის პროცესების შეფერხება. ამ ზემოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეამციროს ტყის პროდუქტიულობა და ბიომრავალფეროვნება, რაც ხელს უშლის მუნიციპალური ტყეების გრძელვადიან მდგრადობას.

**საქართველოს მაგალითზე, თდლ-ს ეკო სისტემებთან დაკავშირებული ძირითადი საფრთხეებია: ტყის უკანონო ჭრა, ტყის ხანძარი, ტყის მავნებლები და დაავადებები, ასევე სხვა საფრთხეები, მათ შორის კლიმატის ცვლილება, ნარჩენები და არამდგრადი მართვა.**

ტემპერატურის მატებასთან ერთად ნალექის რეჟიმი უფრო არასტაბილური ხდება, ტყის უკონტროლო ხანძრების რისკი იზრდება. ტყის რესურსების კომერციულმა გამოყენებამ შეიძლება გააძლიეროს ეს რისკი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ტყის მართვის პრაქტიკა არ მოიცავს ხანძრის პრევენციისა და კონტროლის ადეკვატურ ზომებს. მაგალითად, საქართველოში, 2021 წელს ბორჯომის რეგიონში გაჩენილმა ხანძარმა ხაზი გაუსვა ტყეების დაუცველობას კლიმატის ცვლილების მიმართ. ხანძრებმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ტყის

ეკოსისტემას, რაც მიუთითებს მუნიციპალიტეტების მხრიდან ხანძრის პრევენციისა და რეაგირების ინფრასტრუქტურაში ინვესტიციის გადაუდებელ აუცილებლობაზე.

ტყის ხანძრები მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე. ხანძრები უმეტესად ბუნებრივი მიზეზებითაა გამოწვეული და ამიტომ სიტუაცია შესაძლებელია გართულდეს კლიმატის ცვლილების ფონზე, ხანძრის პოტენციური გაჩენის საფრთხე ტურისტების რაოდენობის ზრდაც შეიძლება იყოს, შესაბამისად საჭიროა პრობლემის მონიტორინგი და დაცვის სამსახურის გაძლიერება, რათა მათ შეძლონ ხანძრის კერების დროულად გამოვლენა და ლიკვიდაცია.

თდლ-ს მაგალითზე, ბრაკონიერობა კვლავ რჩება ერთ-ერთ ყველაზე რთულად მოსაგვარებელ პრობლემად. თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე ბრაკონიერობის რეალური მასშტაბები ცნობილი არ არის. თუშეთში ბრაკონიერთა მთავარ სამიზნეს ჯიხვი და ნიამორი წარმოადგენს. როგორც ჩანს, ადგილობრივი მოსახლეობა თუშეთში ნაკლებად ნადირობს. არალეგალური მეთოდებით თევზაობა, სერიოზულ საფრთხეს უქმნის თუშეთში გავრცელებულ თევზის ერთადერთ სახეობას - კალმახს.

## 2.5. გამოწვევები მუნიციპალური ტყის მართვაში- პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ბარიერები

### 2.5.1. ეკონომიკა: ეკონომიკური არასტაბილურობის შედეგები

ეროვნულ და გლობალურ ეკონომიკაში რყევებმა შეიძლება გავლენა იქონიოს ტყის მართვის საქმიანობისთვის დაფინანსების ხელმისაწვდომობაზე, ტყის პროდუქტებზე ბაზრის მოთხოვნაზე და ტყეზე დამოკიდებული თემების ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობაზე. ეკონომიკურმა არასტაბილურობამ ასევე შეიძლება გამოიწვიოს ტყის რესურსებზე ზეწოლის გაზრდა, რადგან თემებმა შეიძლება მიმართონ ტყის ჭრას და სხვა მოპოვებით საქმიანობას, როგორც გადარჩენის საშუალებას ეკონომიკური დაღმავლობის დროს.

- **ეკონომიკურმა არასტაბილურობამ შეიძლება გამოიწვიოს ტყის მართვის პროგრამების მთავრობისა და დონორების დაფინანსების შემცირება, რაც გამოიწვევს საბიუჯეტო შეზღუდვებს, რაც აფერხებს მუნიციპალიტეტების უნარს განახორციელონ კონსერვაციისა და მართვის აუცილებელი ღონისძიებები.** მაგალითად, ტყის მდგრადი მართვისათვის აუცილებელია შესაბამისი ტექნიკის და საგზაო ინფრასტრუქტურის არსებობა. ამჟამად თდლ-ის ადმინისტრაციას მერქნული რესურსების მოსაპოვებლად გააჩნია მხოლოდ ერთი სატყეო ტრაქტორი. აღსანიშნავია, რომ დიდი რაოდენობის ხის მასალა რჩება ტყეში და ვერ ხერხდება მისი გამოტანა არასაკმარისი ტექნიკისა და ადამიანური რესურსის ქონის გამო. გამოწვევას წარმოადგენს ასევე ადგილზე მოპოვებული სამასალე მორის გადამუშავება. რაც ნაწილობრივ გადაიჭრა დონორული დაფინანსებით სახერხი დანადგარის შეძენის და მისი მომსახურების ფასიანი სერვისის დანერგვით. სწორედ, მსგავსი მიზანმიმართული დაფინანსებების რესურსები შეიძლება შეიზღუდოს ეკონომიკური რყევების დროს.

- რესურსების მოპოვების გაზრდა: ეკონომიკურმა ზეწოლამ შეიძლება აიძულოს თემები გაზარდოს ტყის რესურსების მოპოვება, რაც გამოიწვევს ტყის ეკოსისტემების გადაჭარბებულ მოპოვებას და დეგრადაციას. ამან შეიძლება გაამწვავოს გარემოსდაცვითი პრობლემები და შეამციროს ტყის მდგრადი მართვის გრძელვადიანი ეკონომიკური სარგებელი.

### 2.5.2. პოლიტიკა: ხარვეზები მართვაში, პოლიტიკური ნება

პოლიტიკური ფაქტორები, მათ შორის მენეჯმენტის ხარვეზები და პოლიტიკური ნების ნაკლებობა, არის ის მნიშვნელოვანი საფრთხეები, რომლებმაც შეიძლება შეარყიოს MFM-ის ინიციატივების წარმატება. არაეფექტურმა მმართველობამ, კორუფციამ და არასტაბილურმა პოლიტიკამ შეიძლება გამოიწვიოს ტყის მართვის გეგმების არასათანადო განხორციელება, მარეგულირებელი მარცხი და გარემოსდაცვითი კანონების შეუსრულებლობა. ამ საკითხებმა შეიძლება გამოიწვიოს არამდგრადი პრაქტიკა, ტყის რესურსების დეგრადაცია და ადგილობრივი თემების მარგინალიზაცია.

პოლიტიკური ჩარევის, არასტაბილური პოლიტიკის, რეგულაციების და პროგრამის არა რელევანტური განხორციელების უარყოფითი შედეგები განიხილება პოტენციურ საფრთხეებად აკადემიურ ლიტერატურაში. მარეგულირებელი მარცხი ან სუვერენული რისკი ასევე განიხილებოდა პროგრამის ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ზოგიერთ რესპონდენტს, რომელიც ჩართული იყო SWOT-ანალიზის პროცესში, ფილიპინებისთვის სათემო ტყის მმართველობის სისტემის შემოღების შესახებ, ჰქონდა მოსაზრება, რომ ტყის რესურსების მოპოვებაზე უფლებები შესაძლოა შეიცვალოს მომავალში ახალი გარემოსდაცვითი რეგულაციების შემოღების გამო. პროგრამის მდგრადობის სხვა გამოწვევებს შორის იყო ხე-ტყის გადამამუშავებელი საშუალებების ნაკლებობა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არასახარბიელო მდგომარეობა (Suh & Emtage, 2005).

გარდა ამისა, ტყის მართვის პროცესში დიდია კორუფციის რისკები და რთულია ეფექტური კონტროლის მექანიზმების უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტების მიმდებარე ტყეების ცუდი მდგომარეობა მუნიციპალიტეტებისთვის უფრო მეტ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული, ვიდრე სარგებელთან. ორგანიზაცია GEO-ს ანგარიშში იკვეთება, რომ მერიის წარმომადგენლები ხშირად ხედავენ კორუფციის რისკებს. კორუფციულ გარიგებებთან დაკავშირებული რისკებად დასახელდა მეტყევეების მიერ შეშის გამოყოფა „ახლობლურად“ (მერის განცხადებით, აქ მაინცდამაინც არ უნდა ვიგულისხმოთ კორუფცია, შესაძლოა ეს დაკავშირებული იყოს იმასთან, რომ მათ, ვისაც არ აქვს შეშის ყიდვის შესაძლებლობა, შესაძლოა მეტყევეებს სთხოვონ უფასოდ შეშის მოპოვება).

### 2.5.3 კულტურული ბარიერები: ტრადიციული გენდერული როლები, რომლებიც ზღუდავს ქალთა მონაწილეობას

კულტურული ბარიერები მნიშვნელოვნად ზღუდავს ქალთა მონაწილეობას სხვადასხვა სექტორში, მათ შორის ტყის მართვაში. ეს ბარიერები ხშირად გამომდინარეობს ღრმად ფესვგადგმული სოციალური ნორმებიდან და შეხედულებებიდან, რომლებიც საზოგადოებას

კარნახობენ რა ითვლება „შესაბამისად“ ქცევად მამაკაცებისა და ქალებისთვის. ტრადიციული ნორმები ხშირად განიხილავს ქალს, როგორც მამაკაცის დაქვემდებარებულს, რაც ზღუდავს მათ ხელმისაწვდომობას გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე და ლიდერის პოზიციებზე. ამ იერარქიულ სტრუქტურას შეუძლია ხელი შეუშალოს ქალებს ტყის მმართველობაში ან საზოგადოების ინიციატივებში ხმის მიცემაში. სატყეო მეურნეობა და ბუნებრივი რესურსების მენეჯმენტი ხშირად განიხილება, როგორც მამრობითი სქესის დომინირებულ სფეროდ, კულტურული ნორმები ხელს უშლის ქალებს ამ პროფესიებში შესვლისგან ან მასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩართვისგან.

ამ კულტურული ბარიერების დასაძლევად და ტყის მენეჯმენტში ქალთა მონაწილეობის გასაძლიერებლად, შეიძლება რამდენიმე სტრატეგიის გამოყენება:

**გენდერული მგრძნობიარე საგანმანათლებლო პროგრამები:** ქალებისთვის განათლებისა და ტექნიკური ტრენინგის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად გააძლიერებს მათ ტყის მართვაში მონაწილეობისთვის საჭირო ცოდნითა და უნარებით.

**ადვოკატირება:** გენდერული თანასწორობის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება სათემო კამპანიების მეშვეობით შეიძლება დაეხმაროს კულტურული ნორმების შეცვლას.

**ქალთა ქსელების მხარდაჭერა:** სატყეო მეურნეობაში ქალთა ჯგუფებისა და ქსელების ფორმირების წახალისებას შეუძლია უზრუნველყოს ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ტრადიციული გენდერული ბარიერების გადალახვა მოითხოვს ერთობლივ ძალისხმევას კულტურული ნორმების გამოწვევის შესაცვლელად, განათლებისა და ტრენინგის უზრუნველყოფას და საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოების რეფორმირებას. ამ საკითხების განხილვით, ქალებს შეუძლიათ მიიღონ უფლება, ითამაშონ უფრო აქტიური და გავლენიანი როლი ტყის რესურსების მართვაში, რაც ხელს შეუწყობს უფრო მდგრადი და სამართლიანი შედეგების მიღწევას მათი თემებისთვის.

# III. მზადება SWOT ანალიზისთვის

## 3.1. მიზნების დასახვა: SWOT ანალიზის მიზნების განსაზღვრა, SWOT ჩარჩო და მისი გამოყენება მუნიციპალური ტყის მართვის პროცესში

მუნიციპალური ტყის მართვისთვის (MFM) SWOT-ანალიზის ჩატარების პირველი გადამწყვეტი ნაბიჯი არის **ანალიზის ფარგლებისა და მიზნების მკაფიოდ განსაზღვრა.** კარგად განსაზღვრული მიზნების დასახვა ხელს უწყობს ანალიზის ფოკუსირებას ტყის მენეჯმენტის ყველაზე რელევანტურ ასპექტებზე, იმის უზრუნველსაყოფად, რომ მიღებული სტრატეგიები მოქმედებს და შეესაბამება ტყის მდგრადი მართვის ძირითად მიზნებს (Suh & Emtage, 2005).

MFM-ის კონტექსტში, SWOT-ანალიზის მიზნები შეიძლება მოიცავდეს მუნიციპალური ტყის რესურსების ამჟამინდელი მდგომარეობის შეფასებას, მართვის პრაქტიკის გაუმჯობესების

სფეროების იდენტიფიცირებას და სტრატეგიების შემუშავებას, რომლებიც შეესაბამება უფრო ფართო გარემოსდაცვით და სოციალურ-ეკონომიკურ მიზნებს, იმ გადაწყვეტილებაზე ზეგავლენას გონივრულია თუ არა MFM ამა თუ იმ მუნიციპალიტეტისათვის. მნიშვნელოვანია, რომ SWOT-ანალიზის ფარგლები ცალსახად განისაზღვროს, რათა მოიცავდეს არა მხოლოდ ტყის მართვის ეკოლოგიურ და ეკონომიკურ ასპექტებს, არამედ სოციალურ განზომილებებს, როგორიცაა საზოგადოების ჩართულობა, გენდერული თანასწორობა და ზემოქმედება სხვადასხვა გენდერულ ჯგუფზე. გენდერულად დანაწილებული მონაცემების შეგროვება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის უზრუნველსაყოფად, რომ ანალიზი ზუსტად ასახავს სხვადასხვა გზებს, რომლითაც ტყის მართვის პრაქტიკამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მამაკაცებსა და ქალებზე. ამ მონაცემებმა შეიძლება გამოავლინოს რესურსების ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობისა და ტყის მართვის საქმიანობიდან მიღებული სარგებელი, რაც მუნიციპალიტეტებს საშუალებას მისცემს შეიმუშაონ უფრო სამართლიანი სტრატეგიები.

გარდა ამისა, SWOT-ანალიზი მორგებული უნდა იყოს როგორც მუნიციპალიტეტის შიდა შესაძლებლობებზე, როგორიცაა რესურსების ხელმისაწვდომობა, მართვის უნარები და არსებული ინფრასტრუქტურა, ასევე გარე ფაქტორებზეც, როგორიცაა ეკონომიკური ტენდენციები, სოციალური დამოკიდებულებები და გარემოსდაცვითი გამოწვევები. ძლიერი და სუსტი მხარეები, რომლებიც გარკვეულწილად შიდა და კონტროლირებადია, უნდა გამოიკვეთოს არსებული უპირატესობების გამოყენებისა და შიდა შეზღუდვების შესამცირებლად. იმავდროულად, შესაძლებლობები და საფრთხეები, რომლებიც მომდინარეობს გარე ფაქტორებიდან, უნდა იქნას აღიარებული ხელსაყრელი პირობების გამოსაყენებლად და პოტენციური რისკების თავიდან ასაცილებლად (David, 1999). გარდა ამისა, ანალიზმა უნდა გაითვალისწინოს მუნიციპალიტეტის ვალდებულებები, რაც უკავშირდება ტყის კონტროლსა და ზედამხედველობას, რადგან ამ პასუხისმგებლობებმა შეიძლება გამოიწვიოს რეპუტაციული ან თუნდაც სამართლებრივი რისკები. შიდა შესაძლებლობებთან ერთად ვალდებულებების ჩართვით, მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ უკეთესად განჭვრიტონ შესაბამისობასთან დაკავშირებული გამოწვევები. ამ პოტენციური რისკების ამოცნობა და მისი მოგვარება უზრუნველყოფს როგორც შიდა ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე გარე შესაძლებლობებისა და საფრთხეების უფრო ყოვლისმომცველ გაგებას, რაც საშუალებას აძლევს მუნიციპალიტეტებს პროაქტიულად მოემზადონ ტყის პასუხისმგებელი მართვისთვის.

MFM-ში SWOT-ანალიზისთვის მკაფიო მიზნების დასახვა უზრუნველყოფს პროცესის სისტემურ და ფოკუსირებას, რაც იწვევს სტრატეგიული რეკომენდაციების შემუშავებას, რომლებიც პრაქტიკული და მდგრადია. ის ასევე იძლევა გარანტიას, რომ ანალიზი მოიცავს ყველა კრიტიკულ ფაქტორს, მათ შორის გენდერულ და სოციალურ მოსაზრებებს, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ტყეების ინკლუზიური და სამართლიანი მართვის პრაქტიკის ხელშეწყობისთვის.

**სოციალური და ეკოლოგიური ფაქტორების ჩართვა** ანალიზში გადამწყვეტია იმისთვის, რომ SWOT-ანალიზის ინსტრუმენტმა ადგილობრივი ტყის მართვისთვის (MFM) ეკონომიკური და პოლიტიკური პერსპექტივების გარდა, დამატებითი შეფასებებიც მოგვცეს. ეს საშუალებას იძლევა მივიღოთ ჰოლისტიკური მიდგომა, რომელიც შეესაბამება მდგრადობისა და ინკლუზიურობის მიზნებს.

## სოციალური ასპექტები

ტყის მართვის სოციალური განზომილება კრიტიკულია, რადგან ადგილობრივი თემები, მარგინალიზებული ჯგუფების ჩათვლით, ხშირად უშუალოდ არიან დამოკიდებულნი ტყეებზე, რაც  მათთვის საარსებო წყაროს წარმოადგენს. სოციალური ფაქტორები მოიცავს საზოგადოების (განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების) აქტიურ ჩართულობას, გენდერულ ინკლუზიურობას და სოციალურ თანასწორობას.

ანალიზში სოციალური ფაქტორები შეიძლება ინტეგრირებული იყოს დაინტერესებული მხარეების რუკების, ადგილობრივი თემების საჭიროებებისა და პრიორიტეტების იდენტიფიცირებით (მათ შორის, ტყის პროდუქტების არამერქნული მომხმარებლების ჩათვლით) და ტყით სარგებლობაში გენდერული სპეციფიკური როლების განხილვით. მაგალითად, კვლევაში „გენდერული მეინსტრიმინგი ტყის მართვაში. DEPA Consulting for GIZ, 2024“ აღნიშნულია, რომ ქალები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ არამერქნული რესურსების შეგროვებაში, როგორიცაა სამკურნალო მცენარეები და კენკრა, მაგრამ მათი წარმომადგენლობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხშირად შეზღუდულია. მონაცემთა შეგროვება უნდა მოიცავდეს გენდერულად დანაწილებულ მონაცემებს იმის გასაანალიზებლად, თუ როგორ იმოქმედებს მართვის გადაწყვეტილებები სხვადასხვა სოციალურ ჯგუფზე. უფრო მეტიც, მომზადების ფაზაში უნდა იქნას გამოყენებული მონაწილეობითი მეთოდები, როგორიცაა ფოკუს ჯგუფის დისკუსიები და სათემო კონსულტაციები, რათა უზრუნველყოფილ იქნას მრავალფეროვანი პერსპექტივები.

## გარემოსდაცვითი ასპექტები

ტყის მართვასა და მასთან დაკავშირებულ SWOT-ანალიზში ერთ-ერთი ძირითადი აქცენტი გარემოს მდგრადობაზე უნდა კეთდებოდეს. ტყის ეკოსისტემები საქართველოში კლიმატის ცვლილების, უკანონო ჭრისა და ბიომრავალფეროვნების დაკარგვის საფრთხის წინაშეა. ამიტომ, SWOT-ანალიზის დროს გარემოსდაცვითი კრიტერიუმების ჩართვა უზრუნველყოფს, რომ მართვის სტრატეგიები ფოკუსირებული იყოს ეკოსისტემების დაცვაზე, ბიომრავალფეროვნების გაძლიერებაზე და კლიმატთან დაკავშირებული რისკების შერბილებაზე.

ძირითადი გარემოსდაცვითი ასპექტები მოიცავს ბიომრავალფეროვნებისა და ტყის დეგრადაციის გავლენის შეფასებას ადგილობრივ ეკოსისტემებზე, ტყეების როლის გააზრებას ნახშირბადის სეკვესტრირებაში და კლიმატის ცვლილების შერბილებაში. აღნიშნული გულისხმობს  ტყის სიჯანსაღის კრიტერიუმების დადგენას, როგორიცაა მერქნიან სახეობათა მრავალფეროვნება, ნიადაგის ხარისხი და წყალ მარეგულირებელი ფუნქცია. ადგილობრივი გარემოსდაცვითი გამოწვევები, როგორიცაა ტყის ხანძრები და მავნებლების შემოტევა, რომლებიც გამწვავებულია კლიმატის ცვლილების გამო, ასევე უნდა შეფასდეს SWOT-ანალიზის დროს.

SWOT-ანალიზის როგორც მოსამზადებელ ფაზაში, ასევე განხორციელებისას მიზანშეწონილია სოციალური და გარემოსდაცვითი კრიტერიუმების ყოვლისმომცველი კომპლექტის შემუშავება. სოციალური ასპექტებისთვის, კრიტერიუმები შეიძლება მოიცავდეს:

- საზოგადოების ჩართულობის და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის დონე.
- გენდერული ინკლუზიურობა, ტყის მართვის პროცესებში ქალების ჩართულობის სპეციფიკური მეტრიკით.
- მარგინალიზებული ჯგუფებისთვის ტყის რესურსებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა, რაც უზრუნველყოფს, რომ ყველა დაინტერესებულმა მხარემ ისარგებლოს ტყის მართვის პრაქტიკით.

გარემოსდაცვითი ასპექტებისთვის, კრიტერიუმები უნდა დადგინდეს:

- ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია, როგორიცაა სახეობების სიმდიდრის და ჰაბიტატის შენარჩუნება.

• კლიმატის რისკები ტყეებისთვის, მათ შორის ტყის სიჯანსაღის მონიტორინგი და შესაბამისი ზომების მიღება ტყეების გაჩეხვისა და დეგრადაციის თავიდან ასაცილებლად. SWOT ანალიზში სოციალური და გარემოსდაცვითი ასპექტების ინტეგრაციის მიზნით, ეს განზომილებები შეიძლება ჩართული იყოს SWOT მატრიცის თითოეულ ელემენტში დაბალანსებული და საფუძვლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად (იხ. სურათი 2 ქვემოთ). სოციალური და გარემოსდაცვითი ფაქტორების, როგორც კონკრეტული პუნქტების ჩართვა თითოეული კატეგორიის მიხედვით, საშუალებას იძლევა სტრუქტურირებულად შეფასდეს, თუ როგორ მოქმედებს ეს ზომები მუნიციპალიტეტის ტყის მართვის შესაძლებლობებსა და სტრატეგიაზე. მაგალითად, ძლიერი მხარეები შეიძლება ხაზს უსვამდეს საზოგადოების ძლიერ ჩართულობას ან ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ძალისხმევას, ხოლო სუსტმა მხარეებმა შეიძლება გამოავლინოს შეზღუდული გენდერული წარმომადგენლობა ან რესურსების ნაკლებობა, რომლებიც ხელს უშლის მდგრად პრაქტიკას. ანალოგიურად, შესაძლებლობები შეიძლება მოიცავდეს გარემოსდაცვითი ინიციატივების ან პროგრამების გარე დაფინანსებას, რომლებიც მიზნად ისახავს მარგინალიზებული ჯგუფების გაძლიერებას, ხოლო საფრთხეები კი შეიძლება ასახავდეს კლიმატთან დაკავშირებულ რისკებს და სოციალურ-ეკონომიკურ უთანასწორობას, რომელიც გავლენას ახდენს ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებზე.

ამ ასპექტების SWOT მატრიცის თითოეულ უჯრაში ჩასმით, მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ გააანალიზონ როგორ ურთიერთქმედებენ სოციალური და გარემო ფაქტორები სხვა სტრატეგიულ ელემენტებთან, შექმნან ჰოლისტიკური შეხედულება, რომელიც შეესაბამება მდგრადობისა და ინკლუზიურობის მიზნებს. მოგვიანებით ეტაპებზე მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ ამ ფაქტორების შემდგომი ანალიზი, რათა პრიორიტეტი მიანიჭონ სტრატეგიებს, რომლებიც გააძლიერებენ როგორც სოციალურ თანასწორობას, ასევე გარემოს მდგრადობას, რაც უზრუნველყოფს ტყის მართვის ეფექტურ, ეთიკურად და ეკოლოგიურად დასაბუთებულ პრაქტიკას. აღნიშნული მიდგომა იძლევა საფუძველს სტრატეგიული რეკომენდაციებისთვის, რომლებიც ყოვლისმომცველია და მიზნად ისახავს ადგილობრივ საჭიროებებსა და პირობებს.

*ფიგურა 2: სამიზნე მუნიციპალიტეტებში MFM-ისთვის SWOT-ანალიზის ზოგადი მიზნები და შინაარსი. SWOT მატრიცის ფორმა*

**მიზანი: ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეები იდენტიფიცირება საქართველოში MFM-ის დანერგვისთვის, კონკრეტული მუნიციპალიტეტისთვის**

**ძლიერი მხარე** არის შიდა დადებითი რესურსი, რომელიც ხელს უწყობს აქტივობის წარმატებას.

ის წარმოადგენს შესაძლებლობას ან აქტივს, რომელსაც ფლობს მუნიციპალიტეტი, რომელიც შეიძლება გამოიყენოს ტყის მართვის მიზნების მისაღწევად.

**პოლიტიკის მიზანია გამოიყენოს ეს ძლიერი მხარეები შესრულებისა და ეფექტურობის გასაუმჯობესებლად.**

*მაგალითად: ტყის მართვის გამოცდილი გუნდი; საზოგადოების ძლიერი მხარდაჭერა; კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა.*

**სუსტი მხარე** შიდა ნეგატიური მდგომარეობა ან ფაქტორი, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს საქმიანობის წარმატებას.

ის წარმოადგენს სფეროს, სადაც მუნიციპალიტეტს არ გააჩნია საჭირო რესურსები ან შესაძლებლობები, რაც პოტენციურად იწვევს არაეფექტურობას ან გამოწვევებს ტყის მართვის მიზნების მიღწევაში.

**პოლიტიკის მიზანია აღმოფხვრას და შეამსუბუქოს ეს სისუსტეები, რათა თავიდან აიცილოს ისინი პროგრესს.**

*მაგალითად: შეზღუდული ფინანსური რესურსები; არარელევანტური ტრენინგები და განათლება; მოძველებული აღჭურვილობა და ტექნოლოგია.*

**შესაძლებლობები** არის გარე ფაქტორი ან სიტუაცია, რომელიც წარმოადგენს აქტივობის წარმატების გაუმჯობესების შანსს.

ის მოიცავს ხელსაყრელ პირობებს ან განვითარებად ტენდენციებს, რომლებიც მუნიციპალიტეტს შეუძლია გამოიყენოს ტყის მართვის პრაქტიკის გასაუმჯობესებლად.

**პოლიტიკის მიზანია გამოიყენოს ეს შესაძლებლობები, რათა შეიქმნას უფრო ხელსაყრელი გარემო მენეჯმენტის მიზნების მისაღწევად.**

*მაგალითად: დაფინანსების ახალ წყაროებზე ხელმისაწვდომობა; გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციებთან პარტნიორობა.*

**საფრთხეები** არის გარე პოტენციური მოვლენა ან მდგომარეობა, რომელსაც შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქმიანობის წარმატებაზე.

ეს წარმოადგენს რისკს ან გამოწვევას, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეუძალოს ხელი მუნიციპალიტეტის ტყის მართვის ძალისხმევას.

**პოლიტიკის მიზანია ამ საფრთხეების წინასწარ განსაზღვრა და შერბილება მათი ზემოქმედების მინიმიზაციის მიზნით.**

*მაგალითად: კლიმატის ცვლილების ეფექტები: ექსტრემალური ამინდის მოვლენების გაზრდილი სიხშირე, როგორიცაა ტყის ხანძარი ან წყალდიდობა; ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ტყის რესურსების არასანქცირებული გამოყენება; პოლიტიკა და მარეგულირებელი ცვლილებები;*

*ფიგურა 3: სამიზნე მუნიციპალიტეტებში MFM-ისთვის SWOT-ანალიზის პოტენციური თემები (Suh & Emtage, 2005).*

| | |
|---|---|
| ***რესურსების ხელმისაწვდომობა*** | მიწა, შრომა, კაპიტალი, მართვის საჭირო უნარები, ტექნოლოგია და სხვა. |

| | |
|---|---|
| *ფიზიკური გარემო* | კლიმატი, ამინდები, ტყის ხანძრები, მავნებლები, პოტენციური დაავადებები და სხვა. |
| *ინფრასტრუქტურულის ფაქტორები* | გზები, ტრანსპორტი, ხის გადამამუშავებლები და სხვა. |
| *ეკონომიკური ფაქტორები* | ტყის მოვლა-პატრონობის ხარჯები, ტრანსპორტისა და გადამუშავების ხარჯები, საარსებო წყაროს საკითხები, პროდუქტების პოტენციური ბაზრები და სხვა. |
| *სოციალური ფაქტორები* | მიწის მესაკუთრეთა დამოკიდებულება სატყეო მეურნეობის მიმართ, მოსახლეობის ცნობიერების დონე და სხვა. მოსახლეობის ფინანსური მოწყვლადობა. |

### 3.2. წინასწარი ანალიზის მომზადება: ძირითადი დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და მონაცემების მოგროვება

მუნიციპალური ტყის მართვისთვის SWOT-ანალიზის მომზადების ეტაპი მოიცავს ძირითადი დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი მონაცემების შეგროვების პროცესს. ეს ნაბიჯები აუცილებელია იმის უზრუნველსაყოფად, რომ ანალიზი იყოს ყოვლისმომცველი, ინკლუზიური და ასახავდეს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა პერსპექტივებსა და საჭიროებებს. კარგად ჩატარებული წინასწარი ანალიზი წარმატებული SWOT-ანალიზის საფუძველია.

**ძირითადი დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება**

მომზადების ფაზაში პირველი ამოცანაა MFM-ში ჩართული ძირითადი დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და ანალიზში ასახვა. დაინტერესებული მხარეები, როგორც წესი, მოიცავს **მუნიციპალურ ხელისუფლებას, ადგილობრივ თემებს (მათ შორის სხვადასხვა დემოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენლებს), გარემოსდაცვით ორგანიზაციებს, სატყეო ექსპერტებს და შესაბამის სამთავრობო უწყებებს, როგორიცაა ეროვნული სატყეო სააგენტო და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.** დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრის ჩართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა თვალსაზრისის დასაფიქსირებლად, საკუთრების გრძნობის გასაძლიერებლად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ SWOT-ანალიზი ითვალისწინებს ყველა შესაბამისი მხარის პერსპექტივასა და პრიორიტეტებს.

მნიშვნელოვანია რომ აქცენტი გაკეთდეს ადგილობრივი ქალების ჩართულობაზე, განსაკუთრებით მათზე, ვინც აქტიურია და ლიდერია საზოგადოებაში, მაგალითად მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, მერიის წარმომადგენლები და ქალთა ოთახების მონაწილეები. ამ ჯგუფებს ხშირად შემოაქვს უნიკალური პერსპექტივები და შეხედულებები საზოგადოების საჭიროებების შესახებ, განსაკუთრებით მდგრადი საარსებო შესაძლებლობისა და სოციალური კეთილდღეობის კონტექსტში. მათი ჩართულობა არსებითია იმისთვის, რომ ზუსტად აღიწეროს ტყის მენეჯმენტის გავლენა საზოგადოების სხვადასხვა წევრზე და გააძლიეროს ტყის მართვის სტრატეგიების სოციალური ინკლუზიურობა.

განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სხვადასხვა გენდერის წარმომადგენლების მონაწილეობა, რადგან მამაკაცებსა და ქალებს აქვთ ტყის მართვის განსხვავებული მიდგომები.მაგალითად, ქალები შეიძლება უფრო მეტად იყვნენ დამოკიდებულები ტყის არა მერქნულ პროდუქტებზე ან უფრო მეტად იყვნენ ჩართულნი თემის დონეზე ტყის აქტივობებში. გენდერულად დანაწილებული მონაცემების შეგროვებით და ანალიზის პროცესში მამაკაცებისა და ქალების თანაბარი ჩართვით, მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ უზრუნველყონ, რომ SWOT-ანალიზი ზუსტად ასახავდეს სხვადასხვა გზებს, რომლითაც ტყის მართვის პრაქტიკა გავლენას ახდენს სხვადასხვა გენდერულ ჯგუფზე. ეს მიდგომა არა მხოლოდ ზრდის ანალიზის ინკლუზიურობას, არამედ ხელს უწყობს ტყის მართვის უფრო სამართლიან და ეფექტურ სტრატეგიებს.

დაინტერესებული მხარეების ანალიზის პროცესში, შესაძლებელია შედგეს **„გავლენა-ინტერესის მატრიცა“**, სტრატეგიული ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება დაინტერესებული მხარეების რუკებისა და კატეგორიზაციისთვის, პროექტზე მათი გავლენის დონისა და ამ პროექტის შედეგებისადმი მათი ინტერესის მიხედვით. საქართველოში მუნიციპალური ტყის მართვის (MFM) კონტექსტში, განსაკუთრებით სამიზნე მუნიციპალიტეტებში, ეს მატრიცა გვეხმარება იმის დადგენაში, თუ რომელ დაინტერესებულ მხარეზე უნდა იყოს ყურადღება განსაკუთრებით გამახვილებული, რომელი მხარის მიზნები უნდა დაკმაყოფილდეს ყველაზე მეტად, რომელი უნდა იყოს ინფორმირებული და სხვა.

*ფიგურა 4. MFM-ისთვის დაინტერესებული მხარეების გავლენა-ინტერესის მატრიცა - პოტენციური განაწილება.*

***შენიშვნა:*** *შესაძლებელია აღნიშნული განაწილება განსხვავდებოდეს თითოეული მუნიციპალიტეტისათვის, ამიტომ საჭიროა დეტალური ანალიზი თითოეული მუნიციპალიტეტის მახასიათებლების გათვალისწინებით.*

| დაინტერესებული მხარე | გავლენა | ინტერესი | განმარტება / MFM-თან კავშირი |
|---|---|---|---|
| **ეროვნული სატყეო სააგენტო** | მაღალი | მაღალი | როგორც ტყის მართვაზე პასუხისმგებელი ძირითადი სამთავრობო ორგანო, სააგენტოს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და ინტერესი, რაც საჭიროებს აქტიურ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში. |
| **მუნიციპალური ხელისუფლება** | მაღალი | მაღალი | უშუალოდ პასუხისმგებელი ტყის მართვის განხორციელებაზე მუნიციპალურ დონეზე. |
| **გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო** | მაღალი | მაღალი | სამინისტროს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა გარემოსდაცვით პოლიტიკაზე და მაღალი ინტერესი ეროვნულ დონეზე ტყის რესურსის მდგომარეობის გარეშემო, რაც მოითხოვს მონაწილეობას ეროვნულ სტრატეგიებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. |
| **გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სახელმწიფო საქვეუწყებო დეპარტამენტი (DES)** | მაღალი | მაღალი | DES გადამწყვეტ როლს ასრულებს ტყის ზედამხედველობის/დაცვაში, უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი რეგულაციების დაცვას და მუნიციპალურ ტყეებში უკანონო ქმედებების კონტროლს, რაც მნიშვნელოვან გავლენას |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | ახდენს ტყის მართვის პრაქტიკის წარმატებაზე. DES-ს აქვს მაღალი ინტერესი MFM-ის მიმართ, რადგან ის პასუხისმგებელია სამართლებრივი სტანდარტების მონიტორინგსა და აღსრულებაზე, ხე-ტყის უკანონო ჭრის პრევენციასა და გარემოს მდგრადობის უზრუნველყოფაზე. საჭიროა აქტიური ჩართულობა რეგულირების შესაბამისობის შესანარჩუნებლად, მდგრადი პრაქტიკის მხარდასაჭერად და გარემოს დაცვის სტანდარტების დაცვაზე ეროვნული პოლიტიკის შესაბამისად. |
| **ადგილობრივი თემები** | მაღალი | მაღალი | ადგილობრივ თემებს ტყის მენეჯმენტის შედეგების დიდი ინტერესი აქვთ, განსაკუთრებით საარსებო წყაროსა და რესურსების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, რაც საჭიროებს მათთან რეგულარულ განახლებას და კონსულტაციებს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საჭიროებები და ინტერესები გენდერულად დიფერენცირებულია. |
| **გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები** | საშუალო | მაღალი | ეს ორგანიზაციები უაღრესად დაინტერესებულნი არიან მდგრადი პრაქტიკის ხელშეწყობით და უნდა იყვნენ ინფორმირებულნი, რათა გამოიყენონ თავიანთი ადვოკატირებისა და საზოგადოების ჩართულობის ძალისხმევა. |
| **კერძო სატყეო საწარმოები** | საშუალო | მაღალი | ამ დაინტერესებულ მხარეს აქვს საშუალო გავლენა პოლიტიკის შემოღებაზე და მაღალი ინტერესი თავიანთი საქმიანობის პერსპექტივებიდან გამომდინარე. |
| **აკადემიური და კვლევითი დაწესებულებები** | საშუალო | საშუალო | ღირებული შეხედულებებისა და ინოვაციების შეტანით, ეს ინსტიტუტები უნდა იყვნენ ინფორმირებული, რათა უზრუნველყონ ტყის მართვის სტრატეგიების დაფუძნება უახლეს კვლევებზე. |
| **საზოგადოება** | დაბალი | მაღალი | საზოგადოებას აქვს დიდი ინტერესი ტყის მენეჯმენტის მიმართ, განსაკუთრებით გარემოს ხარისხისა და რესურსების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, რაც მათთან გამჭვირვალობას და რეგულარულ კომუნიკაციას მოითხოვს. |

| | | | |
|---|---|---|---|
| **ტურიზმისა და რეკრეაციული ბიზნესები** | საშუალო | საშუალო | ეს დაინტერესებული მხარეები სარგებლობენ კარგად მართული ტყეებით, მაგრამ აქვთ ზომიერი გავლენა და ინტერესი. ახალი რეგულაციები მოითხოვს მათ მონიტორინგს, რათა უზრუნველყონ ამ ბიზნესების აქტივობების MFM-ის მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანა. |
| **საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები და ფინანსური ინსტიტუტები** | მაღალი | საშუალო | ეს ორგანიზაციები უზრუნველყოფენ კრიტიკულ დაფინანსებას და მხარდაჭერას, შესაბამისად მათი გავლენა მაღალია. ინტერესის დონე საშუალოა და დამოკიდებულია ქვეყნის ეროვნულ მიზნებზე. ახალი რეგულაცია ზოგადად საჭიროებს ამ მხარის ჩართულობას რესურსების უზრუნველსაყოფად და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოსაყვანად. |
| **დაცული ტერიტორიების სააგენტო** | საშუალო | დაბალი | სააგენტომ უნდა უზრუნველყოს, რომ მათი უფრო ფართო კონსერვაციის მცდელობები არ ეწინააღმდეგებოდეს მუნიციპალურ მიზნებს. |

მონაცემთა შეგროვება

დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირების შემდეგი ნაბიჯი არის მონაცემების შეგროვება. მონაცემთა შეგროვება უნდა იყოს **როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი,** სხვადასხვა წყაროდან მიღებული ტყის მართვის ამჟამინდელი მდგომარეობის სრულყოფილად გაგების უზრუნველსაყოფად. ძირითადი მონაცემთა წყაროები მოიცავს უკვე არსებულ დოკუმენტებს, ტყის მართვის გეგმებს, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (გზშ), ბიუჯეტის მაჩვენებლებს (მაგ. NFA-დან და DES-დან მომავალი ხარჯების შესაფასებლად, მათ შორის ტყის ოპერაციებისთვის), სხვა არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ და თემის კვლევებს. მონაცემთა შეგროვების პროცესი ასევე უნდა მოიცავდეს თითოეული მუნიციპალიტეტისათვის მონაცემების შეგროვებას ფიზიკურ და ტექნიკურ რესურსებზე, როგორიცაა სატყეო აღჭურვილობისა და ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა, ასევე ადამიანური რესურსები, სატყეო მეურნეობის პერსონალის რაოდენობისა და კვალიფიკაციის ჩათვლით.

ტრადიციული მონაცემთა წყაროების გარდა, მუნიციპალიტეტებმა უნდა განიხილონ პირველადი მონაცემთა შეგროვების ინოვაციური მეთოდების გამოყენება, როგორიცაა **ღია კითხვარები და ფოკუს-ჯგუფის დისკუსიები**. ამ მეთოდებზე დაყრდნობით შესაძლებელია მეტი დეტალური ინფორმაციის მოპოვება, განსაკუთრებით საზოგადოების აღქმისა და ტყის მართვის სოციალურ-კულტურული განზომილებების შესახებ. ზეპირი დისკუსია ჯგუფში ყველაზე პროდუქტიულია, თუ თავისუფალი აზროვნების ხელშეწყობა ხდება. ყველა მონაწილეს ურჩევენ გამოთქვან თავიანთი იდეები, ისე რომ ღია და გულწრფელი იყოს (McNutt, 1991). უფრო მეტიც, გენდერულად დანაწილებული მონაცემების შეგროვება

გადამწყვეტია იმის გასაგებად, თუ როგორ მოქმედებს სხვადასხვა ჯგუფზე მიმდინარე პრაქტიკა და როგორ შეიძლება მორგებული იყოს მომავალი სტრატეგიები გენდერული სპეციფიკური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

ძირითადი დაინტერესებული მხარეების გულდასმით იდენტიფიცირებით და შესაბამისი მონაცემების საფუძვლიანად შეგროვებით, მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ უზრუნველყონ, რომ მათი SWOT-ანალიზი ტყის მართვის შესახებ იყოს ყოვლისმომცველი, ზუსტი და შეესაბამებოდეს ტყის მდგრადი და სამართლიანი მართვის უფრო ფართო მიზნებს.

**ზოგადად, SWOT-ანალიზის განხორციელებისთვის და დანერგვისთვის, აკადემიურ და საერთაშორისო ლიტერატურაში მსგავსი მიდგომებია გამოყენებული. აღნიშნული მიდგომა სამ ფაზად შეგვიძლია დავყოთ** (Peyron & Amm, 2015):

- **ფაზა 1:** არსებული დოკუმენტების, ანგარიშების, მეორეული მონაცემების გამოყენება პროექტის ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე შესაძლებლობებისა და საფრთხეების პირველადი იდენტიფიცირებისათვის;
- **ფაზა 2:** ღია კითხვარების, ფოკუს-ჯგუფური დისკუსიებისა ან/და ექსპერტებთან ჩაღრმავებული ინტერვიუების გამოყენება ძირითადი დაინტერესებული პირებისგან პირველადი ინფორმაციის გადამოწმებისათვის და დამატებითი ინფორმაციის იდენტიფიცირებისათვის.
- **ფაზა 3:** შედეგების გააზრება და სტრატეგიების განსაზღვრა, ძლიერი და სუსტი მხარეების შესაძლებლობებთან და საფრთხეებთან კავშირის ანალიზზე დაყრდნობით.

## 3.3. საერთაშორისო სტანდარტები და კარგი პრაქტიკა

საერთაშორისო სტანდარტებისა და კარგი პრაქტიკის ჩართვა გადამწყვეტია მუნიციპალური ტყის მენეჯმენტში (MFM) ყოვლისმომცველი SWOT-ანალიზის ჩასატარებლად. ეს სტანდარტები იძლევა საორიენტაციო ნიშნულებს, რომლებიც შეფასებას წინ უძღვის. ადგილობრივი პრაქტიკის გლობალურად აღიარებულ ჩარჩოებთან მორგებით, საქართველოს მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ უზრუნველყონ რომ მათი სტრატეგიები იყოს მდგრადი, სამართლიანი და ინკლუზიური.

**ტყის მდგრადი მართვის (SFM) პრინციპები**

ტყის მდგრადი მართვის (SFM) პრინციპები, როგორც განსაზღვრულია სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მიერ, ხაზს უსვამს ბალანსს რესურსების გამოყენებასა და ეკოსისტემის შენარჩუნებას შორის. SWOT ანალიზის პროცესში მუნიციპალიტეტებმა უნდა შეაფასონ თავიანთი მიმდინარე პრაქტიკა როგორც საერთაშორისო SFM პრინციპების, ასევე საქართველოს საკუთარი კრიტერიუმებისა და ინდიკატორების (C&I) შესაბამისად SFM-ისთვის, რომლებიც სცილდება FAO-ს სტანდარტებს ადგილობრივი პოლიტიკისა და მართვის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ეს ეროვნული კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენება როგორც პოლიტიკის დონეზე, ასევე მართვის ორგანოების, მაგალითად ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ, გვთავაზობს ჩარჩოს, რომელიც სპეციალურად არის მორგებული საქართველოს ტყეების ეკოლოგიურ და სოციალურ კონტექსტზე. მუნიციპალიტეტებმა უნდა გამოავლინონ ძლიერი მხარეები ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის, რესურსების

მდგრადობისა და საზოგადოების ჩართულობის SFM პრინციპებთან შესაბამისობის შეფასებით. მაგალითად, სიძლიერე შეიძლება შეიცავდეს მტკიცე საკანონმდებლო ჩარჩოს, რომელიც მხარს უჭერს მდგრად პრაქტიკას, ხოლო სისუსტე შეიძლება იყოს SFM პრინციპების შეზღუდული ინტეგრაცია ადგილობრივ აღსრულების პოლიტიკაში. შესაძლებლობები შეიძლება მოიცავდეს საერთაშორისო მხარდაჭერის გამოყენებას SFM-ის განხორციელების გასაუმჯობესებლად, ხოლო საფრთხეები შეიძლება მოიცავდეს გარე ზეწოლას, რომელიც საფრთხეს უქმნის რესურსების მდგრად გამოყენებას. FAO-მ ოფიციალურად აღიარა SWOT-ანალიზის ტექნიკა, როგორც მნიშვნელოვანი მონაწილეობითი შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც საზოგადოების სატყეო მეურნეობის განვითარებისათვის ინფორმაციის შეგროვების, სინთეზისა და ანალიზისთვის გამოიყენება (FAO, COMMUNITY FORESTRY: Participatory assessment, monitoring and evaluation, 1989); (FAO, Sustainable Forest Management (SFM) Toolbox, 2024). ანალოგიურად, საქართველოს საკუთარი SFM კრიტერიუმები და ინდიკატორები მუნიციპალიტეტებს აძლევს დამატებით, ადგილობრივად შესაბამის ეტალონებს ტყის მართვის პრაქტიკის გასაძლიერებლად მდგრადობის ეროვნულ მიზნებთან შესაბამისობაში.

### კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ (CBD) აიჩის ბიომრავალფეროვნების მიზნები

აიჩის ბიომრავალფეროვნების მიზნები განსაზღვრავს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის კონკრეტულ მიზნებს, მათ შორის ტყის რესურსების მდგრად გამოყენებას CBD Aichi Targets. SWOT-ანალიზის ჩატარებისას მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ გამოიყენონ ეს მიზნები ტყის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების კუთხით მათი მუშაობის შესაფასებლად. ძლიერი მხარეები შეიძლება მოიცავდეს არსებულ კონსერვაციის პროგრამებს, ხოლო სისუსტეები შეიძლება მოიცავდეს გადაშენების პირას მყოფი სახეობების არასაკმარის დაცვას. შესაძლებლობები შეიძლება წარმოიშვას ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო მიზნებთან ადგილობრივი კონსერვაციის ძალისხმევის გათანაბრებით, ხოლო საფრთხე შეიძლება მოიცავდეს ჰაბიტატის დაკარგვას განვითარების ზეწოლის ან კლიმატის ცვლილების გამო.

### კარგი პრაქტიკა თემზე დაფუძნებული ტყის მართვაში (CBFM)

თემზე დაფუძნებული ტყის მენეჯმენტი (CBFM) ხაზს უსვამს ადგილობრივი თემების როლს ტყის რესურსების მდგრად მართვაში (Acosta, 2002). SWOT-ანალიზში მუნიციპალიტეტებმა უნდა შეაფასონ თემის ჩართულობის ხარისხი ტყის მართვაში. ძლიერი მხარე შეიძლება იყოს საზოგადოების ძლიერი ჩართულობა და ტრადიციული ცოდნა, ხოლო სისუსტე შეიძლება მოიცავდეს საზოგადოების შეზღუდული შესაძლებლობების ან მარგინალიზებული ჯგუფების გამორიცხვას. შესაძლებლობები მოიცავს საზოგადოების როლების გაფართოებას და ადგილობრივი ცოდნის ინტეგრირებას მენეჯმენტის გეგმებში, ხოლო საფრთხეები შეიძლება მოიცავდეს კულტურულ ბარიერებს ან კონფლიქტებს რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით.

### ევროპის ტყის (Forest Europe) კრიტერიუმები და ინდიკატორები SFM-ისთვის

Forest Europe-ის მიერ შექმნილი SFM-ის პან-ევროპული კრიტერიუმები და ინდიკატორები უზრუნველყოფს ტყის მართვის პრაქტიკის შეფასების ყოვლისმომცველ ჩარჩოს მრავალ

განზომილებაში, მათ შორის ტყის სიჯანსაღე, პროდუქტიულობა და სოციალურ-ეკონომიკური სარგებელი ტყის ევროპის კრიტერიუმებშია ასახული. SWOT-ანალიზში მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ შეაფასონ თავიანთი პრაქტიკა ამ კრიტერიუმებთან, რათა გამოავლინონ ძლიერი და სუსტი სფეროები. მაგალითად, ძლიერი მხარეები შეიძლება შეიცავდეს ჯანმრთელობისა და სიცოცხლისუნარიანობის ინდიკატორებთან შესაბამისობას, ხოლო სუსტი მხარეები შეიძლება მოიცავდეს ხარვეზებს მონიტორინგსა და მოხსენებაში. შესაძლებელია ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოძიება დაფინანსებისა და პარტნიორობისთვის, ხოლო საფრთხეები შეიძლება მოიცავდეს ამ მკაცრი სტანდარტების დაკმაყოფილების გამოწვევებს რესურსების შეზღუდვის გამო. აღსანიშნავია, რომ საქართველოში SFM-ის C&I სრულად შეესაბამება Forest Europe-ის C&I-ს, რომელიც მათ სცილდება, როდესაც საქმე ეხება გარემოსდაცვით ასპექტებს.

**სამომავლო შესაძლებლობები**

**ტყის სამეურვეო საბჭოს (FSC) სერთიფიკატი**

FSC სერთიფიკატი უზრუნველყოფს გლობალურად აღიარებულ სტანდარტს ტყის პასუხისმგებელი მართვისთვის, რომელიც მოიცავს ბიომრავალფეროვნების კრიტერიუმებს, თემის უფლებებს და მდგრადი პრაქტიკის FSC პრინციპებს. SWOT-ანალიზის დროს მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ შეაფასონ თავიანთი პრაქტიკა FSC კრიტერიუმების მიხედვით, რათა დაადგინონ ხარვეზები ამ სტანდარტების დაკმაყოფილებაში. მაგალითად, ძლიერი მხარეები შეიძლება მოიცავდეს არსებულ პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება FSC-ის მოთხოვნებს, ხოლო სისუსტეები შეიძლება მოიცავდეს რესურსების მდგრადი გამოყენების პრაქტიკის არასაკმარის დაცვას. შესაძლებლობა მდგომარეობს FSC სერთიფიკატის მოპოვებაში საერთაშორისო აღიარებისა და ბაზარზე წვდომის მოსაპოვებლად, ხოლო საფრთხეები შეიძლება მოიცავდეს სერთიფიკატის დაკარგვის რისკს შეუსაბამობის გამო.

**გაეროს ჩარჩო კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ (UNFCCC)**

UNFCCC და მისი REDD+ მექანიზმი ფოკუსირებულია ტყის გაჩეხვისა და ტყის დეგრადაციის ემისიების შემცირებაზე, რაც გვთავაზობს ჩარჩოს კლიმატის მიზნების ინტეგრირებისთვის ტყის მართვაში. SWOT-ანალიზში მუნიციპალიტეტებმა უნდა გამოიკვლიონ, თუ როგორ უწყობს ხელს ტყის მენეჯმენტის პრაქტიკა კლიმატის ცვლილების შერბილებას. ძლიერი მხარე შეიძლება იყოს მიმდინარე ძალისხმევა ნახშირბადით მდიდარი ტყეების შესანარჩუნებლად, ხოლო სისუსტე შეიძლება მოიცავდეს კლიმატთან ადაპტირებული მართვის პრაქტიკის ნაკლებობას. შესაძლებლობები მოიცავს REDD+ დაფინანსებაზე წვდომას ტყის კონსერვაციის პროექტებისთვის, ხოლო საფრთხეები შეიძლება მოიცავდეს კლიმატის ცვლილების გავლენას ტყის სიჯანსაღე და პროდუქტიულობაზე.

# IV. SWOT-ანალიზის კომპონენტების იდენტიფიცირების პროცესი მუნიციპალური ტყის მართვისთვის

## 4.1. ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება

ზემოთ განხილული ქართული კონტექსტის ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ რომ რამდენიმე შიდა ძლიერმა მხარემ შეიძლება ხელი შეუწყოს მუნიციპალური ტყის მართვის (MFM) ეფექტურობას. ეს ძლიერი მხარეებია რესურსები, პოლიტიკა და სოციალურ ფაქტორები, რომლებიც მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ გამოიყენონ ტყის მდგრადი მართვის ხელშეწყობისთვის. მაგალითად:

- ჩამოყალიბებული პოლიტიკის ჩარჩო და სამართლებრივი საფუძვლები: საქართველოს ძლიერი საკანონმდებლო ბაზა, განსაკუთრებით 2020 წლის ტყის კოდექსი, იძლევა მკაფიო სახელმძღვანელო მითითებებს ტყის მდგრადი მართვისთვის. ის უზრუნველყოფს, რომ მუნიციპალიტეტებს ჰქონდეთ ადგილობრივი ტყეების მართვის კანონიერი უფლებამოსილება, მდგრადი განვითარების, ეკოლოგიური დაცვისა და სოციალური თანასწორობის პრინციპებთან შესაბამისობაში.
- გენდერული როლების და გენდერული თანასწორობის საკანონმდებლო მხარდაჭერა: საქართველოს ვალდებულება გენდერული თანასწორობის მიმართ განმტკიცებულია კონსტიტუციაში და საერთაშორისო ხელშეკრულებებში, მაგალითად ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენციით. ეს ჩარჩო უზრუნველყოფს ქალთა თანაბარ შესაძლებლობებს სატყეო მეურნეობაში, ხელს უწყობს მათ მონაწილეობას მართვაში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ტყის რესურსებზე ხელმისაწვდომობას.
- მუნიციპალური ტყის მართვის არსებული მაგალითები: უკვე განხორციელებული ინიციატივები, როგორიცაა ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ თუშეთის დაცული ლანდშაფტის მართვა, ასახავს ტყის დეცენტრალიზებული მართვის სარგებელს. აღნიშნული მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორ შეუძლია მუნიციპალურმა კონტროლმა გააძლიეროს კონსერვაციის მცდელობები, შეამციროს ხე-ტყის უკანონო ჭრა და გახდეს გზამკვლევი სხვა რეგიონებისთვის.
- საზოგადოების ჩართულობა: ტყის მენეჯმენტში ადგილობრივი თემების, მათ შორის ქალებისა და მამაკაცების თანაბარი ჩართულობა, აუცილებელია მდგრადი პრაქტიკისთვის. ეს მონაწილეობითი მიდგომა ერთიანდება საზოგადოების საჭიროებების სტრატეგიებთან, იყენებს ადგილობრივ ცოდნას და აძლიერებს კონსერვაციის ძალისხმევას გაზრდილი ანგარიშვალდებულებისა და მხარდაჭერის გზით.
- ტრადიციული ცოდნა და კულტურული პრაქტიკა ტყის მენეჯმენტში: საზოგადოების მნიშვნელოვანი ჩართულობა, როგორც მამაკაცების, ასევე ქალების ჩათვლით, აძლიერებს MFM პრაქტიკებს ადგილობრივ საჭიროებებთან შესაბამისობაში მოყვანით. ტრადიციული ეკოლოგიური ცოდნის ინტეგრაცია და ადგილობრივი მაცხოვრებლების უშუალო ჩართვა მენეჯმენტის საქმიანობაში ხელს უწყობს ეფექტური, კულტურულად რეზონანსული კონსერვაციის პრაქტიკას.

- დასაქმების შესაძლებლობები და ეკონომიკური სარგებელი MFM-ისგან: MFM-ის დანერგვას აქვს პოტენციალი შექმნას დასაქმების შესაძლებლობები ადგილობრივ თემებში. თუშეთის დაცული ლანდშაფტის მაგალითები აჩვენებს, რომ ტყის მდგრად მართვას შეუძლია სამუშაო ადგილების შექმნა დარგვის, მოვლა-პატრონობისა და ტყის პროდუქტების გადამუშავებაში, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას.

**სისუსტეების** იდენტიფიცირება აუცილებელია შიდა შეზღუდვების გასაგებად, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს MFM-ის ეფექტურობას. ქართული კონტექსტის განხილვისას მიმოხილული იყო ის სისუსტეები, რომლის აღმოფხვრა მუნიციპალიტეტებს საშუალებას მისცემს შეიმუშაონ ეფექტური სტრატეგიები, რაც გაზრდის მდგრადობას, ინკლუზიურობას და ეროვნულ პოლიტიკასთან შესაბამისობას. მაგალითად:

- შეზღუდული ფიზიკური და ფინანსური რესურსები: ბევრ მუნიციპალიტეტს შეიძლება არ ჰქონდეს საკმარისი რესურსი ტყის ეფექტური მართვისთვის, მათ შორის საჭირო აღჭურვილობა, ინფრასტრუქტურა და ფინანსური მხარდაჭერა.
- არასაკმარისი ადამიანური რესურსები და კვალიფიკაცია: კვალიფიციური პერსონალის დეფიციტი, ტრენინგისა და პროფესიული განვითარების შეზღუდულ შესაძლებლობებთან ერთად, აფერხებს MFM-ის შესაძლებლობებს. მუნიციპალური ტყის მართვა მოითხოვს სპეციალიზირებულ პერსონალს მდგრადი პრაქტიკის გამოცდილებით, თუმცა მუნიციპალიტეტებს ხშირად არ აქვთ ხელმისაწვდომობა სატყეო მეურნეობისა და გეოგრაფიული ინფორმაციის სისტემებში მოწინავე სასწავლო პროგრამებზე (GIS).
- პოლიტიკის ხარვეზები და შეუსაბამობები მენეჯმენტში: ძლიერი საკანონმდებლო ბაზის მიუხედავად, მუნიციპალურ დონეზე პოლიტიკის ხარვეზებმა და შეუსაბამობებმა შესაძლოა ხელი შეუშალოს MFM-ის ეფექტურ განხორციელებას. ეროვნულ პოლიტიკასა და მუნიციპალურ აღსრულებას შორის შეუსაბამობა იწვევს მენეჯმენტის ფრაგმენტულ პრაქტიკას და გაურკვეველმა როლებმა თუ პასუხისმგებლობებმა შეიძლება შექმნას დაბრკოლებები. გარდა ამისა, მუნიციპალურ დონეზე გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის ნაკლებობამ შესაძლოა შეზღუდოს ინკლუზიური პრაქტიკის ინტეგრაცია, რითაც გაძლიერდება გენდერული უთანასწორობა ტყის რესურსებზე ხელმისაწვდომობაში.
- გენდერული უთანასწორობა რესურსებზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილების მიღებისას: გენდერული უთანასწორობა ტყის მართვაში შესაძლოა მნიშვნელოვანი სისუსტე იყოს, განსაკუთრებით სოფლად, სადაც კულტურული და სოციალური ნორმები ზღუდავს ქალთა ხელმისაწვდომობას ტყის რესურსებზე. ქალები უმეტეს შემთხვევაში აწყდებიან გამოწვევებს, რომლებიც დაკავშირებულია საკუთრების შეზღუდულ უფლებებთან და სატყეო მეურნეობის ეკონომიკურ შესაძლებლობებთან შეზღუდულ ხელმისაწვდომობასთან, რაც აფერხებს მათ მუნიციპალური ტყის მართვაში მონაწილეობის უნარსა და სარგებლის მიღებას. ეს უთანასწორობა ზღუდავს სამუშაო ძალის სრულ გამოყენებას და მრავალფეროვან პერსპექტივებს MFM სტრატეგიებში.

- არასაკმარისი გენდერულად მგრძნობიარე და სატყეო ტრენინგის პროგრამები: მუნიციპალიტეტებს შესაძლოა არ ჰქონდეთ გენდერულად მგრძნობიარე და მდგრადი სატყეო ტრენინგის პროგრამები, რაც აუცილებელია ტყის სამართლიანი მართვის პრაქტიკისთვის. გენდერულად სენსიტიური ტრენინგი ხელს უწყობს ინკლუზიურობას, თანაბარი შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისთვის, მონაწილეობა მიიღონ სატყეო საქმიანობაში, გადაწყვეტილების მიღებაში და სარგებლის გაზიარებაში. გარდა ამისა, ტრენინგის ნაკლებობა პრაქტიკაში აფერხებს მდგრადი MFM სტრატეგიების შემუშავებას და ამცირებს ტყის მართვის ეფექტურობას.

ამ სისუსტეების აღმოფხვრით, მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ გააძლიერონ თავიანთი შესაძლებლობები ტყეების მდგრად და ინკლუზიურად მართვაში, რაც უზრუნველყოფს ეროვნულ მიზნებთან და ადგილობრივი საზოგადოების საჭიროებებთან შესაბამისობას.

## 4.2. შესაძლებლობებისა და საფრთხეების იდენტიფიცირება

**შესაძლებლობები** წარმოადგენს გარე პირობებსა და განვითარებად ტენდენციებს, რომლებიც ხელს უწყობს მუნიციპალური ტყის მართვის (MFM) პრაქტიკების ეფექტიანობისა და მდგრადობის გაძლიერებას. ამ შესაძლებლობების გამოყენება შესაძლებელია მიმდინარე სისუსტეების აღმოსაფხვრელად, მმართველობის გასაუმჯობესებლად და ადგილობრივი თემების, განსაკუთრებით ქალების, ტყის მართვის როლებში გაძლიერების მიზნით.

- ტყის მართვის ინკლუზიური პოლიტიკის შემუშავება: საქართველოს აქვს შესაძლებლობა გააძლიეროს ტყის მართვა უფრო ინკლუზიური პოლიტიკის შემუშავებით, რომელიც მოიცავს გენდერულ თანასწორობას. ეს მიდგომა უზრუნველყოფს ტყის რესურსებით სარგებლის თანაბრად მიღებას, რაც იწვევს კონსერვაციის უფრო ეფექტურ ძალისხმევას და მდგრად შედეგებს. პროგრამებს, რომლებიც თემებს აძლევს უფლებას მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკის შემუშავებაში, შეუძლიათ გააძლიერონ ადგილობრივი მმართველობა და გამოიყენონ უნიკალური პერსპექტივები ტყის მართვის უკეთესი პრაქტიკისთვის.
- თემის გაძლიერება და ეკონომიკური სტაბილურობა: ტყის მდგრად მართვას აქვს პოტენციალი გააძლიეროს ადგილობრივი ეკონომიკა სტაბილური შემოსავლის წყაროების შექმნით ხე-ტყის წარმოების, ტურიზმისა და ტყის არამერქნული პროდუქტების მეშვეობით. სატყეო მეურნეობაში ადგილობრივი თემების ჩართულობის გაძლიერებამ შეიძლება გამოიწვიოს შინამეურნეობების შემოსავლების გაუმჯობესება და სოფლის განვითარების ხელშეწყობა. გარდა ამისა, უცხოურმა ინვესტიციებმა სატყეო მეურნეობის თანამედროვე ტექნოლოგიებში შეიძლება გააძლიეროს მონიტორინგი და შეამციროს ჭრის უკანონო საქმიანობა.
- პროგრამები, რომლებიც აძლიერებენ ქალთა როლებს ტყის მართვაში: მიზნობრივ პროგრამებს შეუძლიათ გადაჭრას გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია ქალთა მონაწილეობასთან ტყის მართვაში, ლიდერობასა და გადაწყვეტილების მიღებაში. სატყეო მეურნეობაში ქალების გაძლიერებით, ეს ინიციატივები ხელს უწყობს გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრას და

უზრუნველყოფს, რომ ქალებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ტყის ეკოსისტემების მართვაში. საერთაშორისო პროგრამები, როგორიცაა UN REDD+ და WOCAN, ემსახურება გენდერული მოსაზრებების სატყეო მეურნეობაში ინტეგრაციის მოდელებს.

- ხელუხლებელი ტყეებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვა: საქართველოს დარჩენილი ხელუხლებელი ტყეების დაცვა გადამწყვეტია ბიომრავალფეროვნებისა და ეკოლოგიური მთლიანობის შესანარჩუნებლად. მდგრადი მოსავლის აღების პრაქტიკის, თემის ხელმძღვანელობით კონსერვაციის ინიციატივებისა და მკაცრი დაცვის ზომების განხორციელებით, მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ თავიდან აიცილონ შემდგომი დეგრადაცია და ხელი შეუწყონ ტყის აღდგენას. ეს გააუმჯობესებს ნიადაგის პირობებს, შეამცირებს ეროზიას და გააძლიერებს ნახშირბადის სეკვესტრს.
- ეკოსისტემური სერვისების გამოყენება ეკონომიკური სარგებლისთვის: ტყეები უზრუნველყოფენ კრიტიკულ ეკოსისტემურ სერვისებს, როგორიცაა წყლის რეგულირება, ნიადაგის კონსერვაცია და ნახშირბადის სეკვესტრი, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობას და შეამციროს გარემოს დეგრადაციისგან გამოწვეული ხარჯები. მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ გამოიყენონ ეს სერვისები გრძელვადიანი ეკონომიკური და გარემოსდაცვითი მდგრადობის უზრუნველსაყოფად.
- დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვა: საქართველოს აქვს პოტენციალი, მოიზიდოს გარე დაფინანსება საერთაშორისო დონორებისგან, მიკროსაფინანსო პროგრამებისგან და უცხოური ინვესტიციებისგან ტყის მდგრადი მართვის მხარდასაჭერად. მაგალითად, კავკასიის ბუნების ფონდის მსგავსი ორგანიზაციების გრანტებს შეუძლიათ ტყის დაცვის ადგილობრივი პროექტების დაფინანსება. ეს დაფინანსება შეიძლება გამოყენებულ იქნას საჭირო აღჭურვილობის შესაძენად, სასწავლო პროგრამების მხარდასაჭერად და ტყის მართვის შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად.
- დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი მმართველობის გაძლიერება: ტყის მენეჯმენტის დეცენტრალიზაციამ მუნიციპალიტეტებში შეიძლება გააძლიეროს ადგილობრივი თვითმმართველობა და გააუმჯობესოს მათი რესურსების მართვის უნარი, როგორიცაა ტყეები და წყალი. ადგილობრივი მენეჯმენტის ეროვნულ პოლიტიკასთან მორგებით, მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ ეფექტურად გამოიყენონ თავიანთი რესურსები მდგრადი განვითარებისთვის.

საქართველოში მუნიციპალური ტყის მართვისათვის (MFM) პოტენციური **საფრთხეების** იდენტიფიცირება SWOT-ანალიზის კრიტიკული ასპექტია. ეს ნაწილი წარმოადგენს გარე საფრთხეებს, რომლებმაც შეიძლება შეაფერხოს ტყის მართვის პრაქტიკის ეფექტურობა და ზიანი მიაყენოს მუნიციპალური ტყეების მდგრადობას. ამ საფრთხეების აღიარებით, მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ შეიმუშაონ სტრატეგიები მათი ზემოქმედების შესამცირებლად და დაიცვან როგორც გარემო, ასევე ტყის რესურსებზე დამოკიდებული თემები.

ქართული ტყის კონტექსტის მაგალითები:

- კლიმატის ცვლილება და გარემოს დეგრადაცია: საქართველოს ტყეებს ემუქრებათ ტემპერატურის მატება, ნალექების ცვლილება და უფრო ხშირი ექსტრემალური ამინდის მოვლენები, რაც ზრდის ხანძრის, მავნებლების გავრცელების და ეკოსისტემის მოშლის რისკს. 2021 წლის ბორჯომის ხანძარმა ხაზი გაუსვა ამ დაუცველობას.
- ტყის უკანონო ჭრა და არამდგრადი რესურსების გამოყენება: უკანონო ქმედებები, როგორიცაა ხე-ტყის ჭრა და ბრაკონიერობა ისეთ დაცულ ტერიტორიებზე, როგორიცაა თუშეთი, საფრთხეს უქმნის ბიომრავალფეროვნებას. სუსტი აღსრულება აძლიერებს ზედმეტ ექსპლუატაციას, აზიანებს ამ კრიტიკულ ეკოსისტემებს.
- ეკონომიკური არასტაბილურობა და დაფინანსების ხარვეზები: ეკონომიკური ვარდნა ამცირებს ტყის მართვის დაფინანსებას, რაც აიძულებს თემებს გადააჭარბონ რესურსებს გადარჩენისთვის. შეზღუდული რესურსები, როგორიცაა სატყეო ტექნიკა, აფერხებს ეფექტურ მართვას.
- პოლიტიკური გამოწვევები და კორუფცია: არათანმიმდევრული პოლიტიკა, პოლიტიკური ნების ნაკლებობა და კორუფცია ძირს უთხრის ტყის მართვას. ცუდი მმართველობა იწვევს არაეფექტურ აღსრულებასა და რესურსების განაწილებას ფავორიტიზმით.
- ქალთა ჩართულობის სოციალური და კულტურული ბარიერები: ტრადიციული გენდერული ნორმები ზღუდავს ქალთა მონაწილეობას ტყის მართვაში, განსაკუთრებით ლიდერ პოზიციებზე. ამ პრობლემის მოგვარება მოითხოვს მიზნობრივ განათლებას და ქალთა ქსელების მხარდაჭერას.
- ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური რესურსების ხარვეზები: არასაკმარისი ინფრასტრუქტურა და სპეციალიზებული აღჭურვილობის ნაკლებობა აფერხებს ტყის ეფექტურ მართვას.
- ტურიზმისგან გამოწვეული ტყის ხანძრის გაზრდილი რისკი: ტურიზმის ზრდა, კლიმატის ცვლილებასთან ერთად, ზრდის ტყის ხანძრების რისკს, განსაკუთრებით ისეთ რაიონებში, როგორიცაა თუშეთი. ხანძრის პრევენციისა და რეაგირების არაადეკვატური ზომები დამატებით საფრთხეს წარმოადგენს.
- ეკონომიკური ზეწოლა რესურსების მოპოვებაზე: ეკონომიკურმა გაჭირვებამ შეიძლება გამოიწვიოს რესურსების არამდგრადი მოპოვება, რაც თავის მხრივ იწვევს ეკოსისტემის გრძელვადიან დეგრადაციას და ამცირებს მდგრადი სატყეო მეურნეობის სარგებელს.
- სუსტი კოორდინაცია ხელისუფლებას შორის: ეროვნულ პოლიტიკასა და ადგილობრივ აღსრულებას შორის გათიშვა იწვევს ტყის ფრაგმენტულ მართვას, მუნიციპალიტეტებს არ გააჩნიათ მკაფიო სახელმძღვანელო პრინციპები და რესურსები.
- წინააღმდეგობა გენდერულად მგრძნობიარე პრაქტიკის მიმართ: კულტურული წინააღმდეგობა ზღუდავს ქალთა ინტეგრაციას სატყეო მეურნეობაში, მიუხედავად არსებული სამართლებრივი ჩარჩოებისა, რომლებიც მხარს უჭერენ გენდერულ თანასწორობას. ეს ზღუდავს ინკლუზიური მართვის მიდგომების სარგებელს.

## V. SWOT მატრიცა, SWOT-ანალიზის შედეგები და მათი ინტერპრეტაცია

ეს თავი ეძღვნება საქართველოში მუნიციპალური ტყის მართვისთვის (MFM) განხილული SWOT-ანალიზის ინსტრუქციების შედეგების ინტერპრეტაციას. პოტენციურად იდენტიფიცირებული ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების სისტემატური ანალიზის შექმნის ინსტრუქციების განხილვით, ეს თავი იძლევა საფუძველს ტყის მართვაზე ამ ფაქტორების გავლენის გასააზრებლად. გაითვალისწინეთ, რომ ეს არ არის ყოვლისმომცველი SWOT ანალიზი, არამედ ანალიზის სახელმძღვანელო მითითებების შემუშავების მაგალითი.

ინტერპრეტაციის პროცესი მოიცავს ამ ფაქტორების პრიორიტეტიზაციას MFM-ის მდგრადობასა და ეფექტურობაზე მათი პოტენციური გავლენის საფუძველზე. გარდა ამისა, ეს თავი განიხილავს SWOT მატრიცას, როგორც ანალიზის ვიზუალიზაციის ინსტრუმენტს, რაც ხელს უწყობს სტრატეგიული ვარიანტების იდენტიფიცირებას, რომლებიც ტყეების მართვის პრაქტიკის გასაუმჯობესებლად შეიძლება გამოვიყენოთ. ამ პროცესის მეშვეობით მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ შეიმუშაონ ქმედითი სტრატეგიები, რომლებიც გამოიყენებენ ძლიერ მხარეებს, შეამცირებენ სისუსტეებს, გამოიყენებენ შესაძლებლობებს და აირიდებენ საფრთხეებს.

SWOT მატრიცა არის ძლიერი ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება SWOT-ანალიზის შედეგების ორგანიზებისა და ვიზუალიზაციისთვის. იდენტიფიცირებული ძლიერი, სუსტი მხარეები, შესაძლებლობებისა და საფრთხეების მატრიცის ფორმატში განთავსებით, მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ ნათლად დაინახონ, თუ როგორ ურთიერთქმედებენ ეს ფაქტორები და გავლენას ახდენენ ერთმანეთზე. ეს ვიზუალური წარმოდგენა აადვილებს ძირითადი სტრატეგიული ვარიანტების იდენტიფიცირებას და პრიორიტეტულ ქმედებებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს მუნიციპალური ტყის მართვაზე (MFM). ქვემოთ წარმოდგენილი SWOT მატრიცა ეფუძნება დოკუმენტში, ზემოთ წარმოდგენილ ინსტრუქციებსა და მსჯელობებს.

*ფიგურა 5. SWOT მატრიცის მაგალითი საქართველოში MFM-ისათვის.*

***შენიშვნა:*** *შესაძლებელია აღნიშნული განაწილება განსხვავდებოდეს თითოეული მუნიციპალიტეტისათვის, ამიტომ საჭიროა დეტალური ანალიზი თითოეული მუნიციპალიტეტის მახასიათებლების გათვალისწინებით. გაითვალისწინეთ, რომ ეს არ არის ყოვლისმომცველი SWOT ანალიზი, არამედ ანალიზის სახელმძღვანელო მითითებების შემუშავების მაგალითი.*

| ძლიერი მხარეები | სუსტი მხარეები |
| --- | --- |

| | |
|---|---|
| • არსებული პოლიტიკის ჩარჩო - სამართლებრივი საფუძვლების არსებობა<br>• კანონის აღსრულებისა და საზოგადოების მონაწილეობის გაძლიერება<br>• ტრადიციული ცოდნა<br>• დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვა | • შეზღუდული რესურსები<br>• არსებული პოლიტიკის ხარვეზები მართვასა და აღსრულებაში<br>• გენდერული უთანასწორობა: ტყის რესურსების არათანაბარი ხელმისაწვდომობა, გენდერული მიკერძოება როლებსა და პასუხიმგებლობებში.<br>• არასაკმარისი სასწავლო პროგრამები ტყის მართვის პერსონალისთვის და საზოგადოებისათვის; არასაკმარისი გენდერულად მგრძნობიარე სასწავლო პროგრამები |
| **შესაძლებლობები** | **საფრთხეები** |
| • უფრო ინკლუზიური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პოტენციალი. გენდერული საკითხების ახალ და არსებულ პოლიტიკაში ინტეგრირების შესაძლებლობები<br>• თემის გაძლიერება, პოტენციური ეკონომიკური სარგებელი და ტყის მართვის როლებში ქალების გაძლიერების პროგრამები<br>• გარემოს დაცვა: ხელუხლებელი ტყეების შემდგომი დაკარგვის პრევენცია | • კლიმატური და სხვა გარემოს ცვლილებების გავლენა<br>• ეკონომიკური არასტაბილურობის გავლენა<br>• პოლიტიკა: ხარვეზები მართვაში, პოლიტიკური ნების არქონა<br>• კულტურული ბარიერები |

საქართველოში მუნიციპალური ტყის მართვის (MFM) SWOT-ანალიზის განხილული მაგალითი ავლენს ძლიერი, სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების კომპლექსურ ურთიერთკავშირს, რომელიც აყალიბებს ტყის მართვის მომავალს ქვეყანაში. მაგალითად, დადებითი მხარე ისაა, რომ საქართველოს არსებული პოლიტიკის ჩარჩო უზრუნველყოფს მყარ სამართლებრივ საფუძველს ტყის მდგრადი მართვისთვის, რომელიც გამყარებულია კანონის აღსრულებით და საზოგადოების აქტიური მონაწილეობით. გარდა ამისა, ადგილობრივ თემებში ტრადიციული ცოდნის სიძლიერე, დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვის პოტენციალთან ერთად, მუნიციპალიტეტებს ტყის მართვის პრაქტიკის განვითარებისკენ უბიძგებს.

თუმცა, განხილულ მაგალითზე დაყრდნობით, მნიშვნელოვანი გამოწვევები რჩება. შეზღუდული რესურსები, არსებული პოლიტიკის მართვასა და განხორციელებაში არსებული ხარვეზები და გენდერული უთანასწორობა მნიშვნელოვან დაბრკოლებებს წარმოადგენს. ამ სისუსტეებს ემატება არასაკმარისი სასწავლო პროგრამები, როგორც ტყის ზოგად მართვაში, ასევე გენდერულად მგრძნობიარე მიდგომებში, რაც ხელს უშლის მდგრადი პრაქტიკის ეფექტურ განხორციელებას და რესურსების სამართლიან განაწილებას.

არსებობს ამ გამოწვევების გადაჭრის შესაძლებლობები უფრო ინკლუზიური პოლიტიკის შემუშავების, საზოგადოების გაძლიერების და გარემოს დაცვის მიზნობრივი ინიციატივების

მეშვეობით. გენდერული საკითხების ტყის მენეჯმენტის პოლიტიკაში ინტეგრაციამ და თემების, განსაკუთრებით ქალების, გაძლიერებამ შეიძლება გამოიწვიოს ეკონომიკური სარგებელი და უფრო მდგრადი პრაქტიკა. მიუხედავად ამისა, ამ შესაძლებლობებს საფრთხეს უქმნის გარე ფაქტორები, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, ეკონომიკური არასტაბილურობა, პოლიტიკური ხარვეზები და ფესვგადგმული კულტურული ბარიერები. ეს საფრთხეები ხაზს უსვამს ტყის მართვის პროაქტიული და სტრატეგიული მიდგომის აუცილებლობას, რომელიც გამოიყენებს ძლიერ მხარეებსა და შესაძლებლობებს სუსტი მხარეების და რისკების შერბილებისას.

საქართველოში მუნიციპალური ტყის მართვის (MFM) ეფექტური სტრატეგიების შემუშავებისთვის SWOT ანალიზის გამოყენებით, აუცილებელია ძლიერი მხარეების მორგება შესაძლებლობებთან, სისუსტეების დაძლევა და საფრთხეების შერბილება. დაიწყეთ იმის იდენტიფიცირებით, თუ როგორ შეიძლება გამოყენებული იქნეს არსებული ძლიერი მხარეები, როგორიცაა მყარი პოლიტიკის ჩარჩო, ძლიერი კანონის აღსრულება, საზოგადოების მონაწილეობა და ტრადიციული ცოდნა, შესაძლებლობების გამოსაყენებლად. მაგალითად, გამოიყენეთ მტკიცე პოლიტიკის ჩარჩო გენდერული საკითხების ახალ და არსებულ პოლიტიკაში ინტეგრაციის სათავეში, ტყის უფრო ინკლუზიური და სამართლიანი მართვის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, გამოიყენე საზოგადოების გაძლიერების ინიციატივები და დამატებითი ფინანსური რესურსების პოტენციალი ეკონომიკური სარგებლის გასაძლიერებლად და ტყის კონსერვაციის ძალისხმევის გასაძლიერებლად.

**SWOT-ანალიზის საფუძველზე სტრატეგიების შემუშავების ზოგადი ინსტრუქცია:**

- საქართველოში მუნიციპალური ტყის მართვის (MFM) ეფექტური სტრატეგიების შემუშავებისთვის SWOT-ანალიზის გამოყენებით, აუცილებელია ძლიერი მხარეების მორგება შესაძლებლობებთან, სუსტი მხარეების დაძლევა და საფრთხეების შერბილება.
- დაიწყეთ იმის იდენტიფიცირებით, თუ როგორ შეიძლება გამოიყენოთ არსებული ძლიერი მხარეები, როგორიცაა მყარი პოლიტიკის ჩარჩო, ძლიერი კანონის აღსრულება, საზოგადოების მონაწილეობა და ტრადიციული ცოდნა, შესაძლებლობების ასათვისებლად. მაგალითად, გამოიყენეთ ძლიერი პოლიტიკის ჩარჩო და უკვე შექმნილი გენდერული მექანიზმები და პლატფორმები, როგორიცაა გენდერული ფოკუსები ადგილობრივ საკრებულოში, ქალთა ოთახები და გამოყოფილი პლატფორმები ადგილობრივ ქალებთან შეხვედრებისთვის, გენდერული საკითხების ახალ და არსებულ პოლიტიკაში ინტეგრირებისთვის. ეს უზრუნველყოფს ტყის მართვის უფრო ინკლუზიურ და სამართლიან მიდგომას, რომელიც აქტიურად მოიცავს და პასუხობს ქალთა საჭიროებებს საზოგადოებაში. გარდა ამისა, გამოიყენეთ საზოგადოების გაძლიერების ინიციატივები და დამატებითი ფინანსური რესურსების პოტენციალი ეკონომიკური სარგებლისა და ტყის კონსერვაციის გასაძლიერებლად. ყურადღება უნდა გამახვილდეს სუსტი მხარეების აღმოფხვრაზე ან შემცირებაზე, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საფრთხეები. რესურსების, პოლიტიკის აღსრულებისა და გენდერული უთანასწორობის გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა შესაძლებელია ტყის მართვის პერსონალისა და საზოგადოებისთვის ყოვლისმომცველი სასწავლო პროგრამების შემუშავებით. ეს პროგრამები უნდა შეიცავდეს გენდერულად მგრძნობიარე კომპონენტებს, რათა უზრუნველყოს, რომ საზოგადოების ყველა წევრი თანაბრად იყოს უფლებამოსილი, მიიღოს მონაწილეობა და ისარგებლოს ტყის

მართვაში. ამ სფეროების გაძლიერება ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილების, ეკონომიკური არასტაბილურობისა და პოლიტიკური ხარვეზებით გამოწვეული საფრთხეების შერბილებას, რითაც გაზრდის MFM-ის ინიციატივების მდგრადობას.

- დაბოლოს, შექმენით ქმედითი სტრატეგიები, რომელიც მოიცავს დეტალურ სამოქმედო გეგმებს, რომლებიც მაღალი ზემოქმედების სფეროებს გამოკვეთს და პრიორიტეტს მიანიჭებს. ეს სტრატეგიები ასევე უნდა მოიცავდეს პოტენციური სამომავლო გამოწვევებისთვის სამოქმედო გეგმებს. ასეთია, მაგალითად, გარემო პირობების ცვლილებები ან პოლიტიკური მხარდაჭერის ცვლილება. სხვადასხვა სცენარის შესწავლით, როგორიცაა მძიმე კლიმატური მოვლენები ან ეკონომიკური ვარდნა, მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ შეიმუშაონ საგანგებო გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტყის მართვის პრაქტიკის უწყვეტობას და ადაპტირებას. ეს პროაქტიული მიდგომა მუნიციპალიტეტებს საშუალებას მისცემს ეფექტურად უპასუხონ გაუთვალისწინებელ გამოწვევებს და შეინარჩუნონ პროგრესი გრძელვადიანი მდგრადობის მიზნებისკენ.

სოციალური განზომილებები - როგორიცაა საზოგადოების ჩართულობა, გენდერული ინკლუზიურობა და რესურსებზე თანაბარი წვდომა - შეიძლება ინტეგრირებული იყოს SWOT მატრიცის თითოეულ ელემენტში ან სპეციალური, დამატებითი ანალიზის მეშვეობით.

### ა. სოციალური და ეკოლოგიური განზომილებების ჩასმა SWOT თითოეულ ელემენტში:

ერთ-ერთი პრაქტიკულ მიდგომას წარმოადგენს სოციალური და ეკოლოგიური ფაქტორების განხილვა SWOT მატრიცის თითოეულ ელემენტში. მაგალითად:

ძლიერი მხარეები: ჩართეთ არსებული სოციალური ძლიერი მხარეები, როგორიცაა საზოგადოების ჩართულობა და ცოდნის გაზიარების ქსელები, რომლებიც ხელს უწყობენ მდგრადი ტყის პრაქტიკას. გარდა ამისა, ხაზგასმით აღნიშნეთ ეკოლოგიური სიძლიერე, როგორიცაა კარგად შენარჩუნებული ბიომრავალფეროვნება და ძლიერი კონსერვაციის პრაქტიკა, რომელიც აძლიერებს ეკოსისტემის სერვისებს, როგორიცაა ნახშირბადის სეკვესტრი და ნიადაგის კონსერვაცია. მაგალითად, საზოგადოების მიერ მართული კონსერვაციის ინიციატივები ეფექტური აღმოჩნდა ტყეების გაჩეხვის თავიდან ასაცილებლად და ნიადაგის ჯანმრთელობის ხელშეწყობისთვის. სუსტი მხარეები: ისეთი სოციალური სისუსტეების იდენტიფიცირება, როგორიცაა მარგინალიზებული ჯგუფების შეზღუდული წარმომადგენლობა, მათ შორის ქალებისა და ადგილობრივი თემების, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ეფექტურ MFM-ს. ეკოლოგიურად, სისუსტეები შეიძლება მოიცავდეს არასათანადო ინფრასტრუქტურას ტყის სიჯანსაღის მონიტორინგისთვის, რაც ამძაფრებს გამოწვევებს, როგორიცაა უკანონო ჭრა და ბიომრავალფეროვნების დაკარგვა. კვლევები მიუთითებს, რომ სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ჩართულობა და ეკოლოგიური ხარვეზების აღმოფხვრა ამცირებს ტყის მდგრადი მართვის არაეფექტურობას. (Agarwal, 2009).შესაძლებლობები: შეისწავლეთ როგორც სოციალური ინკლუზიურობის, ისე ეკოლოგიური დაცვის გაზრდის შესაძლებლობები. ეს შეიძლება მოიცავდეს საერთაშორისო დაფინანსების უზრუნველყოფას გენდერულად მგრძნობიარე სატყეო

პროექტებისა და ინიციატივებისთვის, რომლებიც მიმართულია ბიომრავალფეროვნების კონსერვაციაზე. პროგრამებმა, რომლებიც აძლევენ ადგილობრივ თემებს ტყის არამერქნული პროდუქტების მდგრადი მოსავლის უფლებას, შეუძლიათ გააუმჯობესონ შინამეურნეობების შემოსავალი ტყის ეკოსისტემების შენარჩუნებისას. გარდა ამისა, მდგრადი სატყეო მეურნეობის შესახებ სასწავლო პროგრამების გაღრმავებამ შეიძლება გამოიყენოს ტრადიციული ცოდნა, ხელი შეუწყოს როგორც საზოგადოების კეთილდღეობას, ასევე გარემოს მდგრადობას. (FAO, 2024) საფრთხეები: გაანალიზეთ გარე საფრთხეები, რომლებიც აერთიანებს სოციალურ-ეკონომიკურ და ეკოლოგიურ გამოწვევებს. მაგალითად, კლიმატის ცვლილება მნიშვნელოვან რისკებს უქმნის საქართველოს ტყეებს, ზრდის მავნებლების, ხანძრისა და დეგრადაციისადმი მგრძნობელობას, რაც პირდაპირ აისახება ტყის რესურსებზე დამოკიდებულ ადგილობრივ თემებზე. სოციალურ-ეკონომიკურმა უთანასწორობამ და კულტურულმა წინააღმდეგობამ შეიძლება კიდევ უფრო გაართულოს მენეჯმენტის მალისხმევა, განსაკუთრებით თუ ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები არ არიან ჩართულნი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. როგორც სოციალური, ასევე გარემოსდაცვითი რისკების განხილვა უზრუნველყოფს ტყის მდგრადი მართვის ყოვლისმომცველ მიდგომას.

ეს მეთოდი უზრუნველყოფს სოციალური განზომილებების შეფასებას უფრო ფართო სტრატეგიული ფაქტორების კონტექსტში, რაც უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ ხედვას იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს სოციალური დინამიკა SWOT ანალიზის თითოეულ სფეროზე.

**ბ. სოციალური და ეკოლოგიური SWOT მატრიცის შექმნა:**

ალტერნატიულად, ცალკეულ SWOT მატრიცას, რომელიც ეძღვნება მხოლოდ სოციალურ განზომილებებს, შეუძლია უზრუნველყოს სოციალური ფაქტორების ორიენტირებული ანალიზი, რომლებიც გავლენას ახდენენ MFM-ზე. ეს დამატებითი მატრიცა კონკრეტულად შეაფასებს შემდეგს:

- ძლიერი მხარეები: სოციალური აქტივები, როგორიცაა საზოგადოების სოლიდარობა ან არსებული ცოდნის გაზიარების ქსელები.
- სუსტი მხარეები: ბარიერები, როგორიცაა გენდერული უთანასწორობა, საზოგადოების დაბალი ინფორმირებულობა ან მარგინალიზებული ჯგუფებისთვის რესურსების ნაკლებობა.
- შესაძლებლობები: არასამთავრობო ორგანიზაციებთან პარტნიორობის პოტენციალი, სოციალური თანასწორობის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა ან ინკლუზიური მმართველობის მხარდამჭერი პოლიტიკის ჩარჩოები.
- საფრთხეები: სოციალური კონფლიქტის რისკები, გარკვეული ჯგუფების პოტენციური გარიყვა ან კულტურული წინააღმდეგობა მენეჯმენტის ახალი პრაქტიკის მიმართ.

ამ დამატებითი მატრიცის შემუშავება მუნიციპალიტეტებს საშუალებას მისცემს უფრო ღრმად გააანალიზონ სოციალური ფაქტორები, რაც უზრუნველყოფს ისეთ სტრატეგიებს, რომლებიც არა მხოლოდ ეკოლოგიურ მდგრადობას ეხება, არამედ ხელს

შეუწყობს სოციალურ თანასწორობას და ინკლუზიურობას. გარდა ამისა, SWOT მატრიცები შეიძლება გამოყენებულ იქნას ტყის მართვის სხვადასხვა სტრატეგიული ვარიანტების შესადარებლად. ეს პარამეტრი სასარგებლო იქნება, თუ არსებობს, მაგალითად, ორი ან მეტი განსხვავებული სტრატეგიული ვარიანტი. აღნიშნული იძლევა ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების და იმის შედარების შესაძლებლობას თუ რომელი გზა შეიძლება შევარჩიოთ. მაგალითად, მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ გამოიყენონ ცალკეული მატრიცები სხვადასხვა მიდგომების ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების შესაფასებლად, როგორიცაა მუნიციპალური ტყის მენეჯმენტის (MFM) მიღება, თანამმართველობის მოდელის დანერგვა ან მართვის ეროვნული სატყეო სააგენტოსთვის (NFA) გადაცემა. ამ მატრიცების შედარებით, გადაწყვეტილების მიმღებებს შეუძლიათ უკეთ შეაფასონ თითოეული ვარიანტის შედეგები და მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები ყველაზე ეფექტური სტრატეგიის შესახებ. როდესაც მუნიციპალიტეტები იღებენ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს, თუ როგორ უნდა მართონ ადგილობრივი ტყეები, ერთი SWOT ანალიზი შეიძლება არ იყოს საკმარისი მენეჯმენტის პოტენციური მოდელების სირთულისა და მრავალფეროვნების გამო. ინფორმირებული, კონტექსტური გადაწყვეტილებების მისაღებად, მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ გამოიყენონ მრავალი SWOT მატრიცები სხვადასხვა სტრატეგიული ვარიანტების შესადარებლად და კონტრასტისთვის. როგორც აღინიშნა, (1) MFM-ის სრულად დაწყების მიზანშეწონილობის შეფასება, (2) თანამმართველობის მოდელის მიღება, ან (3) ეროვნული სატყეო სააგენტოსთვის (NFA) მენეჯმენტის გაგრძელების შესაძლებლობა მოითხოვს მკაფიო ანალიზებს ძლიერი და სუსტი მხარეების დასაფიქსირებლად. შესაძლებლობები და საფრთხეები, რომლებიც უნიკალურია თითოეული სცენარისთვის. სრული MFM (მუნიციპალური მენეჯმენტი) ფოკუსირებულია ადგილობრივ ავტონომიაზე და საზოგადოების სარგებელზე, მაგრამ აწყდება გამოწვევებს შეზღუდული რესურსებით, ხოლო თანამართვა იყენებს როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ გამოცდილებას, ანაწილებს ფინანსურ ტვირთს, მაგრამ მოითხოვს ძლიერ კოორდინაციას. რაც შეეხება მესამე მაგალითს, მხოლოდ NFA-ის მენეჯმენტი გთავაზობთ სტაბილურობას და დამკვიდრებულ პროცესებს, მაგრამ რისკავს საზოგადოების ჩართულობის და ადგილობრივი საჭიროებებისადმი რეაგირების შემცირებას.

## 2. შეჯამება

დასასრულს, ეს დოკუმენტი, როგორც კრიტიკული ინსტრუმენტი, ემსახურება საქართველოს მუნიციპალიტეტებისთვის სტრუქტურირებული, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესს ადგილობრივი ტყის რესურსების მართვისთვის, SWOT-ანალიზის გამოყენებით. ძირითადი ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების იდენტიფიცირების პროცესის განხილვით, ის უზრუნველყოფს ტყის მდგრადი მართვის ჩარჩოს, რომელიც არის ინკლუზიური და სამართლიანი. გენდერულად მგრძნობიარე პრაქტიკაზე, საზოგადოების ჩართულობაზე და პოლიტიკის შემუშავებაზე აქცენტი უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარის, განსაკუთრებით ქალების საჭიროებებისა და ხმის გათვალისწინებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

გზამკვლევი მუნიციპალიტეტებისთვის ხაზს უსვამს არა მხოლოდ არსებული საკანონმდებლო ბაზისა და საზოგადოების ცოდნის გამოყენების მნიშვნელოვნებას, არამედ საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული კონკრეტული ქვეყნებისა და გამოცდილებების მაგალითების გამოყენების მნიშვნელობასაც. სახელმძღვანელო მიმოიხილავს SWOT-ანალიზის ჩატარების პროცესის ყველა ეტაპს დეტალურად.

## გამოყენებული ლიტერატურა


2030 Agenda for Sustainable Development. (2015). doi:10.1002/9781118785317.weom120103

Acosta, R. T. (2002). *The Community-Based Forest Management Strategy in the Philippines.* FAO. Retrieved from https://www.fao.org/4/ac781e/AC781E09a.htm

Agarwal, B. (2009, September). Gender and Forest Conservation: The Impact of Women's Participation in Community Forest Governance. *Ecological Economics, 68*(11), 2785-2799.

David, F. (1999). Strategic Management: Concepts and Cases. *Prentice Hall, Upper Saddle River, NJ.*

DEPA Consulting. (2024). *Gender mainstreaming in forest management.* Support for forest sector reform in Georgia - ECO.Georgia.

Dillan, J. (1988). A SWOT appraisal of the Australian profession of agricultural economics as at 1988. *Review of Marketing and Agricultural Economics, 56*(3), 340-346.

FAO. (1989). *COMMUNITY FORESTRY: Participatory assessment, monitoring and evaluation.* Community Forestry Note 2, FAO Forestry Department, Rome.

FAO. (2023). *Sustainable Forest Management in the Caucasus and Central Asia - Focus on Criteria and Indicators.* Retrieved from https://unece.org/sites/default/files/2023-04/2228065_E_web.pdf

FAO. (2024). *Sustainable Forest Management (SFM) Toolbox*. Retrieved from https://www.fao.org/sustainable-forest-management/toolbox/modules/forest-certification/in-more-depth/en/

FAO, Gender in Forestry: Mainstreaming Gender Issues in Forestry Projects. (n.d.).

Forest Stewardship Council. (2023). *Forest Management: Practical tools for thriving forests.*

GÜREL, E. (2017). SWOT Analysis: A Theoretical Review. *Journal of International Social Research, 10*(51).

Harrison, S. (2002). Socio-economic research techniques in tropical forestry. In *Socio-economic Research Methods in Forestry: A Training Manual* (pp. 5-14).

Helms, M., & Nixon, J. (2010). Exploring SWOT analysis–where are we now? A review of academic research from the last decade. *Journal of Strategy and Management*, 215-251.

Jiwan, D., & Kendawang, J. (2004). SWOT analysis of some agroforestry systems implemented in Sarawak, Malaysia and their future directions. *1st World Congress of Agroforestry, Working Together for Sustainable Land Use Systems.* Orlando, Florida. Retrieved August 16, 2024

Kangas, J., & Pykäläinen, A. (2000). Integrating Multiple Criteria Decision Making and SWOT Analysis: How to Improve Forest Management Planning? *Forest Policy and Economics*, 87-98.

Kavtarishvili, M. (2023). *Forest Management Capacity Analysis According to 8 Target Municipalities.* Organization GEO.

McNutt, P. (1991). The SWOT Analysis: What it is and How to Use it. *Management Decision, 29*(2), 16-22.

MDPI. (2019). Retrieved from Forest Management: Planning, Decision Making and Implementation: https://www.mdpi.com/journal/forests/special_issues/BOJFJ7Q4UX

Oswald, K., Riechsteiner, D., Thees, O., & Lemm, R. (2004). Reorganisation of wood production for improved performance: a Swiss forest district case study. *Small-scale Forest Economics: Management and Policy*, 143-160.

Peyron, J., & Amm, A. (2015). *Report from the workshop on strategic activities Part 1: SWOT analysis of Forest research in Europe.* ECOFOR.

RECOFTC. (1999). Training Report on Community Forestry Extension. In *Training and Workshop Report Series* (Vol. No. 1999/12). Bangkok: The Regional Community Forestry Training Centre for Asia and the Pacific. Retrieved from www.recoftc.org/documents/Workshop_Reports/9912_extension.pdf

Suh, J., & Emtage, N. (2005). Identification of Strengths, Weaknesses, Opportunities and Threats of the Community-based Forest Management Program. *ResearchGate*. Retrieved from https://www.researchgate.net/publication/37618656_Identification_of_Strengths_Weaknesses_Opportunities_and_Threats_of_the_Community-based_Forest_Management_Program

UN. (2019). *Community forest management and its contribution to ODS in Colombia.* Retrieved from United Nations Department of Economic and Social Affairs: https://sdgs.un.org/partnerships/community-forest-management-and-its-contribution-ods-colombia

UNDP GENDER and REDD+ Policy Brief. (n.d.).

World Bank. (2021). *An Introduction to Decentralization, Multi-level Governance and Intergovernmental Relations: A Toolkit for Intergovernmental Architecture Analysis.* Global Solutions Group.